ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

6 თებერვლიდან!
„ახალი თაობა"
+
ჩე გევარა
8 ლარი





ხუთშაბათი, 7 თებერვალი, 2013 №31 (6032) ფასი: 30 თეთრი

# გაწევ-გამოწევა პარლამენტში

„ვანო მერაბიშვილს ხომ არ ავიწყდება, რომ მისი მეთაური სააკაშვილი მახათას მთაზე ბარბაც-ბარბაცით მიბორძიკობდა"



გვ.3

## ირაკლი ალასანია: „პირად ცხოვრებაზე ჭორაობა ღირსებას არავის სძენს"



გვ.3

რატომ მივიდა ივანიშვილი თავდაცვის სამინისტროში



გვ.5

## ლაშა ამირეჯიბი: „ვალერი ხაბურძანია საქართველოში ნაციონალებმა ჩამოიყვანეს"

## კახა კუკავა: „ივანიშვილი სააკაშვილს ემსგავსება"



გვ.7

## თურქეთიდან საქართველოში ე.წ კიბოთი დაავადებული კარტოფილი შემოჰქონდათ

გვ.2



გვ.2

## გია ხუხაშვილი: „ალასანიას გარშემო ატეხილი განგაში ქარიშხალია ჭიქაში"



გვ.4

## ღარიბაშვილს დამნაშავე პოლიციელების დასჯას სთხოვენ

5 თებერვლიდან!
„ახალი თაობა" +
სერია „დიდი ქართველები"
პატრიარქი
ანტონ II
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი





**2** 127 ათასი ჩინელი შეიძლება საქართველოში ჩამოასახლონ?!

**4** ლევან ბერძენიშვილი: „პარლამენტარის ჩაცმულობას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს"

**6** რა სტრატეგიას ირჩევს ჯანდაცვის სამინისტრო?

**6** მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვაზე ინფორმაცია გავრცელდა

# გია ხუხაშვილი: „ალასანიას გარშემო ატეხილი განგაში ქარიშხალია ჭიქაში“

თამარ ნინიძე



**„პრაიმ-ტაიმის“ რედაქციაში საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გია ხუხაშვილმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.**

მისი თქმით, ალასანიას გარშემო ატეხილი განგაში, რომ ის დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშებში ჩაება და კოალიციის ზურგს უკან მოქმედებს, ქარიშხალია ჭიქაში და სხვა არაფერი. პრემიერის პასუხი კი აბსოლუტურად ადეკვატური იყო კითხვაზე, გაეკეთებინა კომენტარი საგაზეთო სტატიაზე, რომელშიც ალასანიას დუბაიში მოგზაურობის პიკანტურ დეტალებზეა საუბარი. ივანიშვილმა თავი აარიდა ამ ჭორებზე კომენტარს და ხუხაშვილის აზრით, მართებულადაც. ნაცმოძრაობას სურს ჩვეულ პროვოკაციულ სტილში აჩვენოს საზოგადოებას, რომ კოალიცია იშლება და ივანიშვილს ყველაფერი თავზე ემხობა, რაც სწორი არ არის.

გია ხუხაშვილის განმარტებით, პრემიერმა უბრალოდ სთხოვა კოალიციის წევრებს, ყველა მათი ვიზიტი და ხარჯი გაასაჯაროონ, რომ ეჭვების საფუძველი არ გაჩნდეს.

„ვინაიდან საქართველოს მოქალაქეები აფინანსებენ მინისტრებს, ისინი ვალდებული არიან ემსახურონ ხალხს და აცნობონ მათ მათი გეგმების და შეხვედრების შესახებ“, – განაცხადა ხუხაშვილმა.

რუსეთის მთავარმა სანიტარმა განაცხადა, რომ ქართველების შეშვება რუსულ ბაზარზე შესაძლებელია, მაგრამ ეს ამინდს ვერ შექმნის და იქნება მხოლოდ 4% მთელი ღვინის პროდუქციის. ხუხაშვილის აზრით, რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის გამოჩენა პანაცეა არ არის და არ გულისხმობს იმას, რომ მარტო ამ ბაზარზე უნდა ვიმუშაოთ და დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ამით. ქართული პროდუქციის ის სახეობები, რომელიც რუსულ ბზარზე უკვე წლებია რეკლამირებულია, დასავლურ ბაზარზე ვერ შედის, ამიტომ არის რუსული ბაზარი ჩვენთვის საინტერესო. ეკონომიკური აქტიურობა უნდა დაიწყოს, მაგრამ არა პოლიტიკის ხარჯზე.

ხუხაშვილი შეეხო რკინიგზის თემას, რომელიც ნაციონალებისთვის ახალი ჭორების და მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. მისი თქმით, ეს მარტივი პრობლემა არ არის, აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ამ პროექტის პლუსებიც და მინუსებიც, ეს პროექტი ისე უნდა განხორციელდეს, რომ ყველასათვის იყოს სასარგებლო.

„როცა რკინიგზაში ვმუშაობდი, ამ პროექტის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ახლა, როცა პოლიტიკაში ვარ, მიმაჩნია, რომ ამ პროექტის სარგებელი და რისკები სასწორზე უნდა დავდოთ. ეს პროექტი სტრატეგიული საკითხების დათმობის ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს“, – ასეთია ხუხაშვილის აზრი.

ამ პროექტში უნდა გაირკვეს, ვის აქვს ლეგიტიმაცია, მაგალითად, ქართული მხარისთვის აფხაზური მხარე ლეგიტიმური არ არის, შეიძლება ამ პროექტის განხილვის დროს ისეთი გადაულახავი წინააღმდეგობები გაჩნდეს, რომ ეს პროექტი ჩაიშალოს. გარდა ამისა, აქტიური მოთამაშე სომხეთი არ არის, ის არ უნდა აქტიურობდეს იმიტომ, რომ ეს რუსეთის და საქართველოს განსახილველი საკითხია, ამავე დროს უნდა იქნას გარკვეული აზერბაიჯანთანაც ეს თემა, რომ ამ სახელმწიფოს ინტერესებიც არ შეილახოს.

პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს თუ ხალხმა, ხუხაშვილმა ამ საკითხზე განაცხადა, რომ ოქტომბრის შემდეგ პრეზიდენტს გლობალური ფუნქციები აღარ ექნება და ის იქნება მხოლოდ პოლიტიკური კრიზისის დროს გადაწყვეტილების მიმღები. ამ არჩევნებზე ეს ცვლილება, სავარაუდოდ, არ გავა ანუ პრეზიდენტს ისევ ხალხი აირჩევს, მაგრამ სამომავლოდ შეიძლება ეს საკითხი გადაისინჯოს და პრეზიდენტი პარლამენტმა აირჩიოს.

ასი დღის მანძილზე არსებული შეცდომების შესახებ ხუხაშვილმა ამჯერად არ ილაპარაკა, მან თქვა, რომ გარკვეული სახის შენიშვნები კონკრეტულ თანამდებობის პირებთან აქვს, მაგრამ თავი შეიკავა ამ შენიშვნების დაკონკრეტებისგან და იმ პიროვნებების გვარების დასახელებისგანაც, ვის მიმართაც ეს შენიშვნები აქვს.

ხუხაშვილმა ამ თემაზე საუბრისას მხოლოდ სააკაშვილი ახსენა და თქვა, რომ არ შეიძლება პრეზიდენტი ჩუმ საბოტაჟს ეწეოდეს და თვეობით არ აწერდეს ხელს ბრძანებას ელჩების დამტკიცების შესახებ.

და ბოლოს, ხუხაშვილმა „ახალი თაობის“ კითხვაზე, აპირებს თუ არა ის ტელეგადაცემის გაკეთებას, რადგან ასეთი ინფორმაცია ვრცელდება, მან დაგვიდასტურა ამის შესახებ. მისი თქმით, ეს იქნება რეალშოუ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები, მათ შორის ყველაზე რადიკალურ და განსხვავებული პოზიციის მქონენიც კი. ეს არ იქნება მთავრობის ქმედებების პიარი, არამედ იქნება მსჯელობა იმ კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს და რაც ქვეყნის განვითარებას ხელს შეუწყობს.

„ახალი თაობა“ ასევე დაინტერესდა ხუხაშვილის პოზიციით იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო დროს სკანდალი აგორდა მინისტრების მიერ საკუთარი თავისთვის პრემიების გამოწერის თაობაზეც, კანცელარიის უფროსზეც იყო საუბარი, ხუხაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ურთულესი თემაა და ალბათ ეს საკითხიც უნდა დარეგულირდეს.

## თურქეთიდან საქართველოში ე.წ კიბოთი დაავადებული კარტოფილი შემოჰქონდათ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის ინფორმაციით, სურსათის უვნებლობის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოში დააფიქსირა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბაზარში საქონლის ხორცის ნაცვლად ვირისა და ცხენის ხორცი საღდებოდა, გუშინწინ კი თურქეთიდან შემოსული სატვირთო მანქანა დააკავეს , რომელსაც საქართველოში ე.წ „კარტოფილის კიბოთ“ დაავადებული კარტოფილი შემოჰქონდა.

როგორც მინისტრმა დღეს სამინისტროში, 100-დღიანი მუშაობის შედეგების შეჯამებისას განაცხადა, ტვირთი დაყადაღებულია და იგი სრულად განადგურდება. იმპორტიორ ქვეყანას კი ამის შესახებ ახლო მომავალში ეცნობა, რადგან იგი საკარანტინო დაავადებაა.

„ეს ტვირთი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოში, ამიტომ აუცილებელია ხარისხის კონტროლის გამკაცრება. ვიღაცისთვის შეიძლება სასიამოვნო არ იყოს, მაგრამ ეს არის საზოგადოების არჩევანი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავუსვათ წერტილი. მართალია , ამ ყველაფერს სჭირდება სათანადო აღჭურვილობა, ლაბორატორია, პროფესიულ დონეზე დატრენინგებული პერსონალი, მაგრამ ეს არის სწორი გზა და აქედან გადახვევას არ ვაპირებთ.უნდა მივიდეთ იქამდე , რომ მეწარმეს სრული კომფორტი შევუქმნათ. როცა ლაპარაკია ხარისხის უვნებლობაზე და ადამიანის სიცოცხლის საფრთხეზე, პოზიცია იქნება შეუვალი“,-აღნიშნა მინისტრმა.

კირვალიძის ინფორმაციითვე, სურსათის ეროვნული სააგენტო ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს ცვლილებებს სურსათის უვნებლობის კოდექსში, რომელიც პარლამენტს გაზაფხულზე გადაეგზავნება.

მისი თქმით, კოდექში ცვლილებების შეტანა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს არის წინაპირობა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და მოლაპარაკების. ეს არის კონკრეტული პირობა ევროკავშირის მიერ. როგორც კირვალიძემ აღნიშნა, ევროკავშირის ექსპერტები საქართველოში იმყოფებიან და სურსათის სააგენტოსთან ერთად მუშაობენ , რათა ქართველი მომხმარებლები იყვნენ დაცული უხარისხო პროდუქტისგან.

მედიანიუსი

## დღეს ნალექიანი ამინდია მოსალოდნელი

დღეს სინოპტიკოსები საქართველოში წვიმასა და ნისლს პროგნოზირებენ. მთაში მოსალოდნელია თოვლი.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ნალექი, დაბლობში წვიმის, მთაში კი თოვლის სახით. დაუბერავს აღმოსავლეთის მიმართულების ქარი 10-15, ზოგან კი უფრო ძლიერი 17-22 მეტრი წამში. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 18 გრადუსს მიაღწევს სინოპტიკოსები ხვალ აღმოსავლეთ საქართველოშიც მცირე წვიმასა და ნისლს პროგნოზირებენ. მთაში კი მოსალოდნელია თოვლი. იქროლებს სუსტი ქარი, ჰაერი კი 13 გრადუსამდე გათბება.

დღეს თბილისში მცირე წვიმა და ნისლია მოსალოდნელი. დაუბერავს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი. ჰაერის ტემპერატურა 12 გრადუსს მიაღწევს.

მედიანიუსი

# 127 ათასი ჩინელი შეიძლება საქართველოში ჩამოასახლონ?!

თამარ ნინიძე

„ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ „პრაიმ-ტაიმის“ ოფისში ახალი მთავრობის მოღვაწეობის ასი დღე შეაფასა. მისი თქმით, განვლილი ასი დღე ურთულესი იყო არა მარტო ახალი ხელისუფლებისთვის, არამედ საქართველოს მოსახლეობისთვისაც. თუმცა აღსანიშნავია პოზიტივი, რომ არ დაფიქსირებულა ახალგაზრდების ქუჩაში ჩახოცვის არც ერთი შემთხვევა, არ ყოფილა ცნობილი წამების არც ერთი შემთხვევა და ამ თვალსაზრისით სამართალდამცავების მუშაობა დადებითად უნდა შეფასდეს.

ჯონდი ბაღათურია აპირებს საპენსიო რეფორმის ორსაფეხურიანი პროექტის ინიციატივით მთავრობას და პარლამენტს მიმართოს. პირველ საფეხურზე იქნებიან ყველა დონის პენსიონერები, ხოლო მეორე საფეხურზე კი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიონერებს ყოველ ერთ წელზე ორი ლარი უნდა დაემატოთ.

ბაღათურია ასევე აპირებს მოქალაქეებს, რომელთაც დაყადაღებული ქონება აქვთ, ჩამოეწეროთ ბანკების ვალები, ამით მისი თქმით, ბანკები კი არ დაზარალდებიან, არამედ გაძლიერდებიან და განთავისუფლდებიან მძიმე ტვირთისგან. ქართული დასის ლიდერს ინიციატივები აქვს სოფლის მეურნეობის რეფორმასთან დაკავშირებითაც და ამ საკითხზეც სურს მოქმედ მთავრობასთან დისკუსია.

მისი ინიციატივების პაკეტი ამით არ სრულდება, მას აქვს წინადადებები უმაღლესი განათლების დაფინანსებასთან დაკავშირებითაც. მისი ინფორმაციით, დღეს ისევ გიული ალასანიასა და კახა ბენდუქიძის ხელშია უმაღლესი განათლება და ფასების აწევაც მათ ე.წ. ბიზნესს უკავშირდება.

პრესკონფერენციის კულმინაცია კი აღმოჩნდა ინფორმაცია, რომელიც ჯონდი ბაღათურიას კონფიდენციალურად მიაწოდეს, მისი თქმით, პატრიოტმა ადამიანებმა იმის თაობაზე, როგორ ასხვისებდნენ მიწებს თბილისის ზღვისა და მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზე მაღალი თანამდებობის პირები. საქმე ისაა, რომ ამ ხელშეკრულებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ადეიშვილი, ყოფილი სს მინისტრი მერაბიშვილი, ყოფილი ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია, ეროვნულ ბანკში გამაგრებული მისი მოქმედი თავმჯდომარე ქადაგიძე, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ჩოჩელი, მერიაში გამაგრებული თბილისის მერი უგულავა. ამ ხელშეკრულების მიხედვით უნდა განხორციელდეს პროექტი 127 ათასი ჩინელის ამ ტერიტორიებზე ჩამოსახლების, მათთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების და სოფლის მეურნეობის ბიზნესში მათთვის კომფორტული პირობების მინიჭების შესახებ. სასათბურე პირობებში 127 ათასი ჩინელის დასახლება ისტორიული მცხეთის მიდამოებში და თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, ბაღათურიას აზრით, უბრალოდ საინვესტიციო პროექტი არ არის, არამედ ეს არის ქართველებისთვის მეტად სახიფათო მოვლენა. ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ ის არ არის უცხოელების და უცხოური ინვესტიციების წინააღმდეგი, მაგრამ გააჩნია, ამის უკან რა დგას და რამდენად მომგებიანია ეს სახელმწიფოსთვის.

„მოგეხსენებათ, ათი წლის შემდეგ არის იმის შანსი, რომ ეს 127 ათასი ჩინელი მილიონ ნახევარი ან სამი მილიონი გახდეს, ეს კი არის არა მარტო ქართველებისთვის შრომითი ბაზრის შეზღუდვის საშიშროება, არამედ ეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე ჩინელები სარჩევნო ხმით ისარგებლებენ და სახელმწიფოს დიდი საფრთხე შეექმნება. გამოვდივარ ინიციატივით, სასწრაფოდ იქნეს მიღებული კანონი მიგრაციის შესახებ, აშშ-მ ეს კანონი უკვე მიიღო იმიტომ, რომ დაეცვა საკუთარი მოქალაქეები მექსიკელი მიგრანტების მხრიდან შრომით ბაზარზე გამაგრებისგან. გარდა ამისა, მე მთავარ პროკურატურას მინდა მივმართო, დაინტერესდეს ამ ხელშეკრულებით და გამოიძიოს, რა ხდება ამ საკითხზე“, – განაცხადა ბაღათურიამ.



ქართული დასის ლიდერმა თვალსაჩინოებისთვის მედიას აჩვენა ვიდეორგოლი, რომელიც ჩინეთის ტელევიზიებში გადის და აცნობს ჩინელებს საქართველოს და ამ კონკრეტული ტერიტორიების მათთვის არსებულ პერსპექტივებს. ბაღათურია შიშობს, რომ ეს ხელშეკრულება უკვე მოქმედებს და მისი შეცვლა ან შეჩერება საქართველოს ბიუჯეტს უმძიმეს ტვირთად დააწვება. მისი ვარაუდით, ხსენებულმა მაღალჩინოსნებმა ქრთამი უკვე აიღეს და ალბათ დახარჯეს კიდეც.

პრესკონფერენციის ბოლოს ჯონდი ბაღათურიამ გაგვიმხილა ივანე მერაბიშვილის გაბრწყინებული სახის და კარგი გუნება-განწყობის საიდუმლო, აღმოჩნდა, რომ ნაპრემიერალი და ნამინისტრალი ვანო მხიარულად იმის გამოა, რომ სავაჭრო დახლებზე პროდუქტების დეფიციტი იგრძნობა, ბაღათურია ადასტურებს იმას, რომ დეკემბერში და იანვარში დახლებზე მართლაც იყო იმპორტული პროდუქტის ნაკლებობა, მაგრამ მისი თქმით, მიზეზი ის არის, რომ საბაჟოზე ხვრელი გაჩნდა, რომელიც წინა ხელისუფლების დამსახურებაა.

– დიმიტრი გვინდაძეს მე პირადად ვიცნობ და წესიერი კაცია, გასული წლის თებერვალში ის ფინანსთა მინისტრი გახლდათ, ეტყობა მას ამ ბრძანებულებაზე ხელის მოწერა აიძულეს. ათ თებერვალს ფინანსთა მინისტრის ბრძანებულება გამოიცა, რომელშიც საბაჟო სამსახური ადგილზე აღარ ამოწმებს შემოსულ ტვირთებს და მისი აღრიცხვა ხდება იმ ადგილას, სადაც ეს ტვირთი უნდა ჩამოიცალოს. ამის გამო არის სრული უკონტროლობა საბაჟოზე. ჩვენ არ ვართ ჰოლანდიელები და ბელგიელები, რომ თავს უფლება მივცეთ, არ ვაკონტროლოთ შემოსული ტვირთები, ამიტომ ვთხოვ ახალ მთავრობას, ყურადღებით მოეკიდოს ამ საკითხს, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალაკაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინა კანდელაკი, მზია ქოჭაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ალასანია: „პირად ცხოვრებაზე ჭორაობა ღირსებას არავის სძენს“

შორენა მარსაგიშვილი

## რატომ მივიდა ივანიშვილი თავდაცვის სამინისტროში

ნაციონალები (და არა მარტო ისინი) მოუთმენლად ელიან, როდის დაიწყება სერიოზული დაპირისპირება მეოცნებეთა რიგებში. ირაკლი ალასანიას გარშემო აგორებულმა ჭორებმა მათ ამის იმედი ჩაუსახა. მართალია ალასანია ვიცეპრემიერობიდან გაუშვეს, მაგრამ კოალიციის დატოვებას არ აპირებს.

მძიმე საუბრის შემდეგ ივანიშვილი და ალასანია ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა წინა კვირაშიც შეხვდნენ. ზოგიერთი იმედოვნებდა, ალასანიას თავდაცვის მინისტრობიდან გაუშვებენო. მსგავსი არაფერი მომხდარა. შეხვედრიდან გამოსულმა ალასანიამ ამაყად განაცხადა, ჩვენ ისევ ერთი გუნდი ვართო. ამის გამო მერაბიშვილმა თავდაცვის მინისტრს ჩვეულებრივი ლაჩარი უწოდა.

ალასანიას თემა სამშაბათს გამართულ ივანიშვილის პრესკონფერენციაზეც გაგრძელდა. პრემიერმა პირდაპირ თქვა, რომ ნაცმოძს ამირსპასალარ ალასანიას გადაბირება სურს.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რატომ გადაფრინდა ალასანია ვიღაცებთან ერთად პარიზში. ჭორაობენ, რომ ის პრემიერისგან უჩუმრად წავიდა დუბაიში, სადაც ვითომ გიგი უგულავას შეხვდა. ამ თემებზე, როგორც ეტყობა, ალასანია საუბარს არ აპირებს. გუშინ ჟურნალისტებს სთხოვა, მსგავსი კითხვები აღარ დაუსვან.

გუშინ მას სამინისტროში პრემიერმა მიაკითხა. ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ირაკლი ალასანიამ უმასპინძლა. პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის სამინისტროს მართვის ცენტრი დაათვალიერა. ბიძინა ივანიშვილი ვიდეო კონფერენციის საშუალებით ავღანეთში, საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართული სამშვიდობო ქვედანაყოფების მეთაურებს გაესაუბრა და გაწეული სამსახურისათვის მადლობა გადაუხადა.



— ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ თქვენ სამშობლოს ემსახურებით. ვამაყობთ, რომ ჩვენი ჯარები და თქვენ პირადად ჩართული ხართ საერთაშორისო უსაფრთხოების საერთო პროცესში. თქვენ ძალიან დიდ სამსახურს უწევთ თქვენს სამშობლოს და მთლიანად მსოფლიოს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა საქართველოში დისლოცირებულ სხვადასხვა სამხედრო ნაწილების მეთაურებსაც მიმართა.

— საქართველოს მთავრობა და თქვენი მინისტრი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ქართველმა სამხედროებმა ღირსეული სამსახური შეძლონ, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ალასანიამ განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროში მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. პირობა მოგვცა, რომ მალე არმიაში ყველაფერი კარგად იქნება.

არმიის მდგომარეობაზე მეტად ჟურნალისტებს ის აინტერესებდათ, შეხვდა თუ არა ალასანია დუბაიში უგულავას.

— მე ძალიან მინდა გთხოვოთ თქვენ, ჟურნალისტებს განსაკუთრებით, რომ ასეთ სისულელეებზე საუბარს ნურც ერთმანეთს ვაკადრებთ და ზოგადად ჩვენს ქვეყანაში ისეთი გარდაქმნები, ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რომ საზოგადოებისთვის რეალურად რაც არის საყურადღებო, გთხოვთ იმაზე გაამახვილოთ ყურადღება. ასეთი სპეკულაციები, ასეთი ჭორიკნობა ღირსებას არ სძენს არავის, აქედან გამომდინარე, პრემიერმა ძალიან კარგად თქვა ამის შესახებ, ამით დაკავებული იყო წინა ხელისუფლება. ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოების მხარდაჭერა იმიტომ ჰქონდა, რომ ასეთი ჭორებისთვის და პირად ცხოვრებაში ჩარევის გაღიზიანების გამო, უნდოდათ დაესრულებინათ ის პრაქტიკა, რაც წინა ხელისუფლებას ჰქონდა, ასეთ სისულელეებზე მეორედ კითხვას ნუ დამისვამთ, — განაცხადა ალასანიამ.

# გაწევ-გამოწევა პარლამენტში

## „ვანო მერაბიშვილს ხომ არ ავიწყდება, რომ მისი მეთაური სააკაშვილი მახათას მთაზე ბარბაც-ბარბაცით მიბორძიკობდა“

შორენა მარსაგიშვილი

**როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტის გუშინდელი სხდომა დაძაბული გამოდგა. მართალია ქართველ მაყურებელს უკეთესი დაძაბულობაც უნახავს, მაგრამ გუშინდელ დღესაც არაუშავდა. ნაციონალები მეოცნებეთა ზეწოლას აპროტესტებდნენ და ჩიოდნენ, ხალხს სამსახურებში ნაცნობობით ნიშნავენო.**

**მეოცნებეებს გუშინ ისნის მაჟორიტარი დეპუტატი, ასევე მეოცნებე ნუკრი ქანთარიაც შემოსწყრა. ქანთარიამ პროტესტის ნიშნად პარლამენტის სხდომათა დარბაზი დატოვა. მან განცხადების გაკეთება მას შემდეგ მოინდომა, რაც დეპუტატების განცხადებებისთვის გათვალისწინებული დრო ამოიწურა.**

ქანთარიამ პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს სთხოვა, რომ განცხადებებისთვის განკუთვნილ დროს ნახევარი საათი დამატებოდა, რაზეც მან უარი მიიღო და ქანთარიამ პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა.

განცხადებების გასაკეთებლად დეპუტატებს გუშინ 90 წუთი ჰქონდათ. დროის ამ მონაკვეთში ნაციონალებმა ოცნებას ბევრ რამეში დასდეს ბრალი, მაგრამ არც ისინი დარჩენილან უპასუხოდ. ნაციონალებზე ბევრი რამ შეიძლება გაიხსენოს კაცმა.

უმცირესობის წევრის მიხეილ მახარაძის განცხადებით, მას საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდასაჭერად ემუქრებოდნენ.

— მემუქრებოდნენ, რომ თუკი მხარს არ დავუჭერდი საკონსტიტუციო ცვლილებას, ჩემს ოჯახზე აისახებოდა. ყველა პიროვნება თავის ოჯახში მაღალ რანგშია. ზნეობას მოკლებული პოლიტიკა მარცხისთვის არის განწირული. როცა პრემიერი ამბობს, რომ მხოლოდ ის წყვეტს ყველაფერს, ეს უკვე დიქტატურაა, — განაცხადა მუქარა გამოვლილმა მახარაძემ.

ნაციონალმა გიორგი კანდელაკმა კი მეოცნებეები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა.

— გამიხარდებოდა, რომ თქვენი მთავრობის 100 დღის თავზე გამეკრიტიკებინეთ არასაკმარისი წინსვლის გამო, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ვსაუბრობთ რეგრესსა და უკანსვლაზე. უკვე დაგროვდა თვალშისაცემი და კაშკაშა მაგალითების მთელი კასკადი, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ თქვენ თქვენი საქმიანობით საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას ძირს უთხრით. ძნელია ყველა მაგალითი ჩამოვთვალო, მაგრამ პირველი მაგალითი არის რუსეთის ჯაშუშების გამოშვება ციხიდან და მათი გმირებად შერაცხვა. კიდევ ერთხელ მივმართავ პარლამენტის თავმჯდომარეს, თქვენ გსმენიათ რაიმე იური შკრილნიკოვის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ? ან რომელიმე უმრავლესობის წევრმა გამცეს ამ კითხვაზე პასუხი და მე მადლობელი ვიქნები. ასევე დასავლური ინსტიტუტების მიმართ აგდებული დამოკიდებულება, ამის მაგალითია პრემიერ-მინისტრის განცხადება, თითქოს მან შეძლო და დასავლეთი მოიგერია. ბოლოს ეს არის ჩვენი ინიციატივის უარყოფა, საგარეო კურსის დაკანონებასთან დაკავშირებით. ეს ინიციატივა ემსახურება საგარეო პოლიტიკის გრძელვადიანობის მყარი გარანტიების შექმნას, — განაცხადა კანდელაკმა.

განსაკუთრებით აქტიური იყო გუშინ დეპუტატი ირმა ნადირაშვილი. მან თანამდებობებზე ნაცნობების დანიშვნის გამო დააყარა მეოცნებეებს თავზე ქოქოლა.

— რასაც „ქართული ოცნება“ რეორგანიზაციას, სამართლიანობის აღდგენას უწოდებს, რეალურად ეს არის ადგილების გათავისუფლება დეპუტატების და მინისტრების ნათესავებისთვის. „ქართული ოცნების“ სათავეში მოსვლის შემდეგ, თითქმის აღარ ტარდება კონკურსები და ადამიანები სამსახურში იმ ნიშნით აჰყავთ, „რა თვალით უყურებს მათ პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ან უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე. ეს მე არ მიკვირს, რადგან პრემიერმა გუშინწინ აგვიხსნა, რომ ეს ქართული ხასიათის გამოვლინება ყოფილა. ეს მე არ მიკვირს, რადგან გვაცნობა, რომ არ იცის, რა სხვაობაა ტენდერსა და კონკურსს შორის. მე შევეცდები ავუხსნა. ტენდერია, როდესაც „ლუკოილში“ ტენდერს მანანა კობახიძის ოჯახის ერთ-ერთი წევრი იგებს და ყველა სახელმწიფო უწყებას ექსკლუზიურად აწვდის საწვავს. კონკურსია, როდესაც ადამიანს აიყვან სამსახურში მისი პირადი თვისებების და დამსახურებისთვის და არა იმიტომ, ვისი ნათესავია და ოჯახის წევრი. ტენდერით აყვანილმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტენდერის, კონკურსის გარეშე მიიყვანა შს სამინისტროს გენინსპექციის უფროსად თავისი სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილი. შინაგან საქმეთა სამინისტროში დამლაგებლებსაც არ იღებენ თამაზაშვილის გარეშე და კახეთში ჩიტიც არ დაფრინავს მის გარეშე. ასევე იშოვეს სამსახურები ირაკლი ღარიბაშვილის დამ და მეუღლემ, მანანა კობახიძის დამ კი, აფხაზეთის მთავრობაში მინისტრის მოადგილის პოსტი დაიკავა. ნადირაშვილის განცხადებით, ეკა ბესელიას ქმარი პროკურატურაში დასაქმდა, მაია ფანჯიკიძის შვილი ენერგეტიკის სამინისტროში დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა. ვიქტორ დოლიძის ძმა კი თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილეა. დიდი ზრუნვა გამოავლინა ნათესავების მიმართ მურმან დუმბაძემაც, — განაცხადა ნადირაშვილმა.

ნაციონალ ნადირაშვილის განცხადება მეოცნებეებს უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. გაირკვა, რომ ნათესავები ნადირაშვილსაც კარგად დაუსაქმებია.

— ძალიან დიდი სისტემაა ჯანდაცვის სისტემა და ჩვენ კარგად მოგვეხსენება ამ სისტემაში ირმა ნადირაშვილის დაიკო სად და რომელი დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობდა. ასევე გვახსოვს ის ბიზნესები, რომელსაც ქალბატონი ირმა მოყოლებული რუსთავი-2-დან აკონტროლებდა და დღესაც აკონტროლებს. ამასთან დაკავშირებითაც ვფიქრობ, რომ ყველაფერი დღესავით ნათელია, — განაცხადა დეპუტატმა დავით ლორთქიფანიძემ.

საინტერესო გამოსვლა ჰქონდა დეპუტატ ოთარ ჩრდილელსაც. მან ნაციონალებს რაღაცები გაახსენა და ურჩია, რეგრესზე ნუ ილაპარაკებთო.

— აქ წარმოდგენილი ძალა საუბრობს რეგრესზე, წილების გადაფორმებაზე, სტაგნაციაზე, ტენდერების მოგებაზე, ნეპოტიზმზე, დემაგოგიაზე. ამაზე საუბრობს ის ძალა, რომელიც 9 წელი მხოლოდ ამით იყო დაკავებული. ვინ სად მუშაობს, როგორ მუშაობს. ქალბატონი ირმა ნადირაშვილის მეუღლე დღესაც დიდუბე-ჩუღურეთის გამგებელია და არა მგონია, ახლა უმუშევრობას უჩიოდნენ. რაც შეეხება წილების გადაფორმებასა და ტენდერებს, ქალბატონო ირმა, არ ვცხოვრობთ დღეს იმ სახელმწიფოში, სადაც კატილინად მოვლენილ მერაბიშვილს და მის მეგობრებს უფლება აქვთ ღამის სამ საათზე ნოტარიუსებს წილები და ქონებები გადააფორმებინონ. ჩვენ არ ვცხოვრობთ ასეთ სახელმწიფოში. ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვუპასუხო „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილს, რომელიც ხერხემლიდან ციცერონად გადაიქცა და რომელიც ამბობს, რომ თურმე ამ მთავრობას ოთხი წელი ვერ მოითმენს. ამაზე გვესაუბრება ის ადამიანი, რომელმაც 9 წლის მანძილზე ქვეყანაში ცოდვის კალათა გააკეთა. ვანო მერაბიშვილი რომ ნარკოტიკების გაიაფებაზე ამოიღებს ხმას, მას ხომ არ ავიწყდება, რომ იმ გუნდის წევრია, რომლის მეთაურიც მახათას მთაზე ბარბაც-ბარბაცით მიბორძიკობდა. ძველი „მოქკავშირელი“ ვანო მერაბიშვილი არ არის იურისტი, ის იყო ავანტიურისტი. მისმა ვერაგმა ძალამ ხომ კარგად იცის, თუ რას გვიზამდნენ ჩვენ, თუ არჩევნებს წავაგებდით. მერაბიშვილი და სააკაშვილი ფიქრობს რევანშზე, მაგრამ მინდა ჩემი ქვეყნის მოსახლეობა დავამშვიდო და ნაპოლეონის სიტყვებით ვუპასუხო — „ამათ ვერც ვერაფერი ისწავლეს და ვერც ვერაფერი დაივიწყეს“, — განაცხადა ჩრდილელმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით საყვარელიძე შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის 5 თებერვალს გაკეთებულ განცხადებას საფრთხის შემცველს უწოდებს. გადაცემა „პოზიციაში“ ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ვიღაცები სადარბაზოებთან სპეციალურად ყრიან უხმარ შპრიცებს.

— შინაგან საქმეთა მინისტრი, სამწუხაროდ, დანაშაულში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაქირავებულ მსახიობებს ხედავს. მისი მთავარი ინდიკატორი კრიმინოგენული მდგომარეობის გაურესებისა საქართველოში, არის სადარბაზოში დაყრილი შპრიცები და თურმე ჩვენ ვქირაობთ სპეციალურად მსახიობებს და ადამიანებს და ჩვენ ვყრით. მანამდე, არასერიოზულად ჩავთვალე და გამოუცდელობას დავაბრალე მისი განცხადება, როდესაც სკვერებში მომატებულ ხულიგნობაზე თქვა, თითქოს ჩვენ ვაკეთებდით ამის ინსპირირებას, თითქოს ჩვენ ვიყავით ჩასაფრებული ხულიგნებთან ერთად და ვაქეზებდით ჩაედინათ ხულიგნობა. ალბათ, ახლა მძარცველებსა და ყაჩაღებზე გადავალთ, როგორც ხაშურში, მაგალითად, ბოქლომი ჩაარტყეს ვიღაცას თავში და თბილისში რამდენიმე სახლში შევარდნენ, დააყაჩაღეს ან დახოცეს ხალხი, ამასაც ჩვენ მოგვაწერს ალბათ და ამით გაიმართლებს თავს, — განაცხადა საყვარელიძემ.

მეოცნებე კარლო კოპალიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ დეპუტატებს მოუწოდებს, რომ მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს ისეთ ჭაობში არ ჩაყვნენ, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს. კოპალიანი ნაცმოძრაობის წარმომადგენლის, ირმა ნადირაშვილის განცხადებას გამოეხმაურა და



მას ჰკითხა, თუ რა სახის კონკურსები ჩატარდა მაშინ, როდესაც „თბილსერვის ჯგუფში“ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებად მომღერლები და მოდელები დასაქმდნენ.

— საინტერესოა, რისი კონკურსები ჩაატარეს პატივცემულმა კოლეგებმა, როცა დასუფთავების სამსახურში მომღერლები და მოდელები მიიღეს? ცოცხების კონკურსი იყო თუ რისი, საინტერესოა... ისე საუბრობთ, თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ აჩუქა სააკაშვილის სანათესაოს მიწები, უნივერსიტეტები, სადაზღვევო კომპანიები, ბანკები, ოქროს საბადოები და ვინ იცის კიდევ რა. მე მინდა მივმართო კოლეგებს, შანსი კიდევ არსებობს... შანსი იმისა, რომ მოქალაქე სააკაშვილს არ ჩაყვეთ ისეთ ჭაობში, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს. თქვენი გამოცდილება და ნიჭი ჯერ კიდევ შეგიძლიათ ახალი საქართველოს მშენებლობის საქმეს მოახმაროთ, — განაცხადა კოპალიანმა.

მანანა კობახიძემ ნაციონალ დეპუტატებს მოუწოდა, რომ პარტიული დაკვეთებიდან გათავისუფლდნენ და თავიანთი პოზიცია დააფიქსირონ იმის შესახებ, უნდა ჰქონდეს თუ არა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს თვითნებურად მთავრობის გადაყენებისა და მინისტრთა ახალი კაბი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ღარიბაშვილს დამნაშავე პოლიციელების დასჯას სთხოვენ

გულიკო ბალაძე

**ახალ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. ახალი და გაუსვრელი კადრები ჰყავს მოსაძიებელი. სამართალდამცავი სტრუქტურები შს სამინისტროსა და პროკურატურის რაიონული თუ საქალაქო სტრუქტურები ჯერ კიდევ ძველი კადრებითაა სავსე.**

**დაზარალებულები და მათი ადვოკატები ჩივიან, რომ უამრავი საქმეა, რომელზეც თავის დროზე არ მომხდარა სათანადო რეაგირება, არ ჩატარებულა გამოძიება. არ ჩატარებულა კანონით გათვალისწინებული არანაირი საგამოძიებო მოქმედებები.**

ეს არის სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის მიერ შექმნილი სისტემა, სადაც სამართალს ვერავინ პოულობდა. ამიტომ ამ სისტემაში გამოზრდილი და სისტემას შეზრდილი პროკურორები და გამომძიებლები, რომლებსაც კონკრეტული დანაშაული აქვთ ჩადენილი, ან სამსახურებრივ უმოქმედობას იჩენდნენ კონკრეტული საქმეებთან დაკავშირებით, ჩადიოდნენ დანაშაულს, უნდა მოშორდნენ პროკურატურისა და შს სამინისტროს სისტემას.

ადვოკატები შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს დამნაშავე პოლიციელების დასჯას სთხოვენ.

გუშინ ადვოკატთა ასოციაციაში ადვოკატებმა აპოლონ გადელიამ და თეიმურაზ მაღლაქველიძემ პრესკონფერენცია გამართეს თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, სადაც იკვეთება მარნეულის რაიონის პროკურორის გიორგი კაკულიასა და მისი მოადგილის ლევან ლაზარეიშვილის კანონშეუსაბამო ქმედებები.

ადვოკატები მთავარი პროკურორისაგან ითხოვენ დაიწყოს მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა. ადვოკატები ასევე საუბრობენ გლდანი-ნაძალადევის პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებზე ავადმყოფი პირის მიმართ.

ისან-სამგორის პროკურატურის და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ასევე ადვოკატმა თეიმურაზ მაღლაქველიძემ.

ადვოკატ თეიმურაზ მაღლაქველიძეს შეტანილი აქვს საჩივარი იუსტიციის საბჭოში და ითხოვს კონკრეტული მოსამართლის დასჯას.

ადვოკატმა ისაუბრა ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაზე, სადაც, მისი თქმით, კადრები დღესაც არ შეცვლილა.

– ქალაქ მარნეულის პროკურატურაში ჩაიდინეს აშკარა სამოხელეო დანაშაული, რამდენჯერმე მივმართეთ მთავარ პროკურატურას. მთავარმა პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ შესაბამისი მოთხოვნებით ქვემდებარეობით მიმართა, რომ საქმე შეესწავლათ, – განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატმა ისაუბრა 9 წლის ბავშვის, სოსო ბარჯაძის შესახებ, რომელიც სოფელ ორბედში ავტოკატასტროფაში მოხვდა 2011 წელს.



– 100-110 კილომეტრი სიჩქარით მოძრავი მანქანით, თბილისში მცხოვრები თამარ დროზდოვა მოემართებოდა მანგლისიდან თბილისის მიმართულებით. მან ხალხის მიერ დასახლებულ პუნქტში განავითარა მაღალი სიჩქარე, დაეჯახა 9 წლის ბავშვს და გაისროლა დიდ მანძილზე. ბავშვმა ავარიის შემდეგ იცოცხლა დაახლოებით 3 თვე. იმყოფებოდა ქალაქ თბილისში, ჟვანიას სახელობის კლინიკურ საავადმყოფოში.

თავდაპირველად მას აქცევდნენ ყურადღებას დროზდოვა და მისი ნათესავი, მაგრამ შემდეგ მათ მიაღწიეს შეთანხმებას ბრალდების მხარესთან, ქალაქ მარნეულის პროკურატურასთან და შეწყვიტეს ურთიერთობა ბავშვის შემდგომი მკურნალობის გაგრძელებისათვის. სამედიცინო სამსახურს უნდა გადაერიცხა ბავშვის მკურნალობისთვის თანხა, რაც არ გაკეთებულა. ბავშვს ველარ გაუგრძელდა მკურნალობა და სავალალო შედეგი დადგა. გამოძიება უნდა დაიწყოს, მაგრამ საგამოძიებო ორგანო პასიურობს, – განაცხადა ადვოკატმა.

ამ მეორე საქმეზე, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის არასათანადო მკურნალობასთან, გამოძიებას აწარმოებს დილმის მასივში არსებული განყოფილება. საკითხი უნდა გაირკვეს იმის მიხედვით, თუ რა ქმედით გადაწყვეტილებას მიიღებს საგამოძიებო ორგანო.

– როდესაც დროზდოვამ და მისი ოჯახის წევრებმა სოსო ბაჯაძე ბედის ანაბარა დატოვეს საავადმყოფოში, ექიმებმაც არ გამოიჩინეს ადამიანობა. იქ არის დამნაშავე ექიმი ჟღენტი, რომელიც საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს, – ამბობს ადვოკატი.

ადვოკატის თქმით, თვით ავარიის საქმესთან დაკავშირებით მარნეულის პროკურატურა ვალდებული იყო შემთხვევის ადგილი დაეთვალიერებინა, დაეწყოთ საგამოძიებო მოქმედებები, დაეკითხათ თვითმხილველები დასახლებულ პუნქტში. სადაც ავარია მოხდა, ეს არის მჭიდროდ დასახლებული პუნქტი. ავარიის თვითმხილველი 10-12 პიროვნება იყო, მაგრამ არც ერთი არ დაკითხულა. პროკურატურამ ორი თვის შემდეგ დაიწყო ე.წ. დოკუმენტების შეკრება. დროზდოვა მაშინვე გაუშვეს. ექსპერტიზა ჩავატარებინეთ რობაქიძის უნივერსიტეტის კრიმინალურ ლაბორატორიას და დადგინდა, რომ დროზდოვა მოძრაობდა 96-დან 116 კილომეტრი სიჩქარით. ისინი კი წერდნენ 40 კილომეტრს, რაც არის სიყალბე. მათ არავითარი დოკუმენტი არ შეუდგენიათ, არავითარი საგამოძიებო მოქმედება არ ჩაუტარებიათ.

გამომძიებელმა გიორგი გაბრიჩიძემ (რომელიც არის მანგლისში) ჩემი მოთხოვნით, გადმომცა დოკუმენტები, რომელიც არ არის სრულყოფილი. გაუგებარია, რა გააკეთეს ამდენი ხნის განმავლობაში? მან ხელი გაიშვირა მარნეულის რაიონის პროკურატურის პროკურორ სახლთხუციშვილისაკენ.

თვალშისაცემია ის, რომ საქმის გამოძიება დაწყებულიც არ არის. გარდაიცვალა 9 წლის ბავშვი. ასეთი კატასტროფა იყო. რა გული ჰქონდა გამომძიებელს, რომ ასე უყურადღებოდ მოიქცნენ – არ დაიწყეს გამოძიება და ბავშვი გარდაიცვალა თამარ დროზდოვას მანქანის დაჯახების დროს მიღებული ტრავმების გამო, რაც არის სისხლის სამართლის დანაშაული.

ადვოკატის განცხადებით, ამ საქმესთან დაკავშირებით დასასჯელია პირთა ჯგუფი, რაზედაც უნდა დაიწყოს ძიება.

თუმცა, როგორც ადვოკატი აცხადებს, მათი საჩივრები მიდის ერთსა და იმავე პროკურორთან.

– თუ არ შეიცვალნენ პროკურორები, საქმე წინ არ წავა. არ შეიძლება დარჩნენ ის პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც საქმეზე არ დაიწყეს ძიება, არ განახორციელეს საგამოძიებო მოქმედებები, არ შეასრულეს კანონის მოთხოვნა და მათთვის მინიჭებული უფლებები. ასეთი პროკურორები და გამომძიებლები, ცხადია, თავის თავს განაჩენს ვერ გამოუტანენ, – აცხადებს ადვოკატი.

მისი აზრით, კანონმა უნდა იმუშაოს და სამართლიანობა უნდა აღდგეს, რასაც მოითხოვს ხალხი, საზოგადოება.

– ჩვენი სურვილია, ახალმა ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება და ბოლო-ბოლო წერტილი დაესვას უკანონობას – არაფრის მკეთებელი, მკვლელი პროკურორები, ხალხის მტრები უნდა შეიცვალონ. მათ შესახებ დაიწყოს მსჯელობა და დაიწყოს გამოძიება. აღნიშნულ საქმეებზე საკმარისი მასალები მე გამაჩნია და ნამდვილად დადგინდება მათი დანაშაულებრივი ქმედებები, – მოითხოვს ადვოკატი.

არაერთი საქმეა, რომელზეც ამ პროკურორებმა და გამომძიებლებმა არ ჩაატარეს კანონით გათვალისწინებული მოქმედებები და ჩაიდინეს დანაშაული. საინტერესოა, რატომ არ ხდება ახალი კადრების მოძიება, ქვეყანას იურისტები ნამდვილად არ აკლია. ბევრი კვალიფიციური იურისტია. მათი გამოყენება ნამდვილად შეიძლება. მთავარია სუფთა ბიოგრაფია ჰქონდეს და სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის შექმნილ სადამსჯელო სისტემაში არ ჰქონდეს ნამუშევარი.

საინტერესოა, ახალი ხელისუფლება რატომ იტკივებს თავს და სააკაშვილის პირობებში ჩადენილ დანაშაულობებს, ტვირთად რატომ იღებს? რატომ არ ცვლის კადრებს? აშკარაა, რომ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მომუშავე ყველა პროკურორისა თუ გამომძიებლის საქმიანობა მეტ-ნაკლებად შესასწავლია.

# დაპირისპირება პარლამენტში

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ნეტის ფორმირების შესაძლებლობა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

– დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია, მთავრობის გადაყენების და შეცვლის პროცესში როგორი უნდა იყოს პრეზიდენტის უფლებამოსილება. უნდა ჰქონდეს თუ არა პრეზიდენტს ერთპიროვნული უფლება, რომ დაითხოვოს პრემიერ-მინისტრი, მთავრობა თვითნებურად, ერთპიროვნულად შექმნას ახალი მთავრობა ისე, რომ არ დაეკითხოს პარლამენტს. რატომ უნდა ჰქონდეს მას ეს უფლება? მოყოლებული ვარდების რევოლუციიდან, ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით კონსტიტუციაში 30-ზე მეტი ცვლილებაა შეტანილი. ნაციონალური მოძრაობა ყველანაირად ცდილობდა, რომ ქვეყნის უმთავრესი კანონი, კონსტიტუცია სააკაშვილზე მოერგოთ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს თავი კომფორტულად ეგრძნო. 1 დღითაც არ უნდა დაუტოვონ სააკაშვილს იმის შესაძლებლობა, რომ თვითნებურად დაითხოვოს ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და თვითონ ჩამოაყალიბოს ხელისუფლების შემადგენლობა. რატომ უტოვებთ სააკაშვილს, რომელიც უკვე დიდი ხანია ვადაგასულია, ამ უფლებას? რისი გეშინიათ? ყველამ ინდივიდუალურად აგეთ პასუხი ხალხის წინაშე. დღეს გოგა ხაჩიძისგან მოვისმინე გენიალური ფრაზა... თურმე, მარიკა ვერულაშვილი სააკაშვილის წიაღში ყოფილა შობილი. სააკაშვილის წიაღში შობილო დეპუტატებო, გამოდით სააკაშვილის წიაღიდან. ეს გადაწყვეტილება უმრავლესობას კი არ სჭირდება, არამედ სჭირდება ხალხს. დაუბრუნეთ ხალხს წართმეული უფლება, დააბრუნეთ ის რეალობა, რაც იყო 2004 წელს ამ სამარცხვინო ცვლილებებამდე. გამოდით პარტიული დაკვეთებიდან, – მიმართა მან საპარლამენტო უმცირესობას.

სხდომათა დარბაზში ვითარება ტარიელ ლონდარიძის გამოსვლის შემდეგ დაიძაბა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მასზე ზეწოლას პირადად ივანიშვილი ახორციელებს. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი პროკურატურაშია დაბარებული. ლონდარიძე ამ დაბარებას მის პოლიტიკურ ორიენტაციას უკავშირებს.

– საკონსტიტუციო ცვლილებებს არ ვუჭერ მხარს იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი პირადად დამემუქრა ტელევიზიიდან. დაემუქრა ჩემს მომავალს, ჩემს შვილებს, ჩემს ცოლს. მე, რომელმაც 14 წლის ასაკში ჩავიცვი ფორმა, 20 წელი გავატარე შეიარაღებული ძალების რიგებში, მოვიარე აფხაზეთი, ვიბრძოდი 2004 წელს, ვიბრძოდი 2008 წელს, დავით საგანელიძე არ უნდა მასწავლიდეს, ჩემს შვილებს ჩავხედავ თვალებში თუ არა. გაფრთხილებთ, პირი გამოირეცხოთ. მე ვარ იმ კომისიის წევრი, რომელიც კონსტიტუციურ ცვლილებებს განიხილავდა. როგორც ცნობილია, ვმსახურობდი თავდაცვის სამინისტროში, ყოფილი მინისტრის მიმართ კი კითხვები არსებობს. სწორედ მაშინ, როცა კონსტიტუციური ცვლილებების განხილვა დაიწყო, პროკურატურას კითხვები გაუჩნდა ჩემთანაც. ეს გჭირდებათ იმისთვის, რომ ჩემზე ზეწოლა მოხდეს. თქვენ გჭირდებათ ისეთი ტარიელ ლონდარიძე, პოლკოვნიკი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის თითის ქნევით მიაჭერს წითელ თუ მწვანე ღილაკს. მე არ ვაპირებ არც სააკაშვილის გამო ვაჭირო ღილაკს თითი და მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილის გამო, – განაცხადა ლონდარიძემ.

ამ განცხადების შემდეგ უმრავლესობის წევრებსა და ლონდარიძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რომელშიც მალევე უმცირესობის წარმომადგენლებიც ჩაერივნენ. ინციდენტი 5 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

ამ ინციდენტის მიმდინარეობისას უმრავლესობის წევრი ფრიდონ საყვარელიძე ცუდად გახდა. მან სხდომათა დარბაზი დატოვა. „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, პარლამენტში სასწრაფოც გამოიძახეს.

თავიდან საყვარელიძის ცუდად გახდომა ჩხუბს დაუკავშირეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ საყვარელიძე ისედაც ცუდად იყო.

# ლევან ბერძენიშვილი: „პარლამენტარის ჩაცმულობას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს“

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, კონსერვატორ ბიძინა გუჯაბიძის მიერ ბიუროზე ინიცირებული კანონპროექტი პარლამენტართა ჩაცმულობის წესის შესახებ რეგლამენტში შესატანი ცვლილებების თაობაზე, სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ ფორუმებზე ფართო განხილვის საგნად იქცა.**

აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, პარლამენტში დეპუტატებს მხოლოდ პროტოკოლური (საქმიანი) ან ეროვნული ჩაცმულობის სტილით მოუწევთ სიარული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გარკვეული სანქციები დაეკისრებათ. სოციალურ ქსელებში გუჯაბიძის ამ იდეას როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ.

„ყველას აქვს უფლება მოითხოვოს ის, რაც უნდა, მაგრამ მე არ ვარ მომხრე მკაცრი წესებისა პარლამენტში ჩაცმულობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ეროვნულ ჩაცმულობას, მაგის წინააღმდეგი არ ვარ, ვისაც რა უნდა ის ჩაიცვას. ვფიქრობ, რომ მთავარია პარლამენტარი შინაგანად იყოს მოწესრიგებული და როგორ ჩაიცვამს, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. პირადად მე ამ სფეროში სიმკაცრის დიდი გულშემატკივარი არ ვარ“, – ზემოხსენებული კანონპროექტის კომენტირებისას „მედიანიუსს“ განუცხადა გუჯაბიძის თანაკოალიციელმა, რესპუბლიკელმა ლევან ბერძენიშვილმა.

სოციალურ ქსელებში ასევე დაისვა კითხვა, არსებობს თუ არა მსგავსი ტიპის რეგულაციები დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში.

„მე არ შემისწავლია ეს საკითხი. შესაძლოა, ვინმემ დაავალოს ჩვენ კვლევით სამსახურს და შეისწავლონ... დარწმუნებული ვარ არსებობს პარლამენტები, სადაც რეგულაცია არის ჩაცმულობასთან დაკავშირებით, მათ შორის ძალიან დემოკრატიულ ქვეყნებშიც, მაგრამ პირადად მე ეს საკითხი არ შემისწავლია, ვინაიდან არ მგონია სერიოზული“, – უთხრა „მედიანიუსს“ ბერძენიშვილმა და დასძინა, რომ პირადად მას პარლამენტში ყოველთვის პროტოკოლურად აცვია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვისგანაც იგივე მოითხოვოს.

„მითუმეტეს, კარგად არ ვიცი, ქალების შემთხვევაში რა არის პროტოკოლური ჩაცმა, კარგად არ მესმის ეს საკითხი. არ არის გასაკვირი: ბატონი ბიძინა გუჯაბიძე არის კონსერვატორი და აქვს კონსერვატიული იდეები, მე ლიბერალი ვარ და ამ საკითხში ლიბერალური იდეები მაქვს“, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

კითხვაზე, საერთოდ რატომ დადგა პარლამენტში ჩაცმის სტილის კანონით განსაზღვრის აუცილებლობა, ინიციატივის ავტორი ბიძინა გუჯაბიძე განმარტავს, რომ მიზანი ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა და პოპულარიზაციაა. ლევან ბერძენიშვილმა კი „მედიანიუსს“ უთხრა, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში არიან დეპუტატები, რომლებსაც არაპროტოკოლურად აცვიათ, თუმცა ეს პრობლემა არ არის.



„პარლამენტს არ დაუყენებია ეს ინიციატივა... ის დააყენა ერთმა დეპუტატმა, რომელსაც ამის სრული უფლება ჰქონდა. ჩვენ კი გვაქვს უფლება, რომ გავიზიაროთ იგი, ან არ გავიზიაროთ“, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

ბიძინა გუჯაბიძის ზემოხსენებულ საკანონმდებლო ინიციატივას იუმორით უყურებს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, ნაციონალური მოძრაობის წევრი გოგა ხაჩიძე, რომელსაც აინტერესებს, დეპუტატებს ექნებათ თუ არა პარლამენტში ქამარ-ხანჯლის ტარების უფლება.

„ახლა არ მცალია, ჩოხას ვყიდულობ და მოგვიანებით დამირეკეთ“, – უთხრა ხაჩიძემ „მედიანიუსს“.

**მედიანიუსი**

# რა მოხდება 8 თებერვალს ქუთაისში?

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

პრეზიდენტის საპარლამენტო მოსმენა დანიშნულია 8 თებერვალს. ქართულ საზოგადოებას უკვე აღარ სურს, მოთვალოს, მერამდენე საპარლამენტო ორატორია იქნება სააკაშვილის მხრიდან. ტრადიციული მოსმენა ნამდვილად არ იქნება, რადგან ამის რამდენიმე საფუძველი იქნება: მიხეილ სააკაშვილს არ დახვდება თავისი საპარლამენტო გუნდი უმრავლესობაში და თან სამთავრობო ფლიგელიც ცარიელი იქნება. უკვე გამოითქვა მოსაზრება, რომ სამთავრობო ადგილი ადრე თუ იყო შევსებული, მაინც ბუტაფორიული დატვირთვა ჰქონდა და ახლა იგივე სიტუაციაში თავის ამოყოფას არ სურს ახალ „ბიძინას“ მთავრობას. რაც შეეხება საპრეზიდენტო ტაშისმკვრელთა გუნდს, ყოველდღიურად თუ არა, ყოველკვირეულად შეიძლება დაიწყოს კლება. აქამდე თუ უცნობი და ჩრდილში მდგარი ნაცდეპუტატები გადადიოდნენ „საოცნებო“ უმრავლესობაში, ახლა უკვე საკმაოდ „იარკიი“ ნაციონალი მარიკა ვერულაშვილიც აპირებს საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას.

ამბობენ, რომ ქვეყანაში თანდათან გაჩნდა პური (მასწავლებლების ხელფასის მატება, რეგრესის პენსიონრების და ძალოვანების დაფინანსება, საყოველთაო დაზღვევის მოლოდინი, საწვავის გაიაფება, საგაზაფხულო ხვნა-თესვის ვაუჩერები და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი „ქართული ოცნების“ დაპირება), თუმცა ქართველები იმდენად შევეჩვიეთ სანახაობასაც, რომ მხოლოდ პური რას გვეყოფა? სანახაობა, ღვთის მადლით, არ გვაკლია. სანამ პოლიტიკური კულტურის დონე პროგრესირებას არ დაიწყებს, მანამდე თეატრალიზებული წარმოდგენები დიდი პათეტიკით ყოველთვის გვექნება ტელევიზორებსა და მონიტორებზე.

ახლახან პრემიერის მიერ გაკეთებული ასდღიანი ანგარიშიც კი ასე მგონია, ოპონენტების ალიყურის გაწვნას უდრიდა. ზურგსუკან თუ პირდაპირ ეთერში ქირქილი ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან ბიძინას გამოსვლასთან დაკავშირებით ნეიტრალური ადამიანებისთვის (ე.წ. შუაშისტებისათვის) დამატებით სახალისო ელფერს იძენს. თუ ბიძინა დედას მოჰგავს და უჯერებს, სამაგიეროდ მიშას ბებო მზისი სჯერაო. ირაკლი ალასანიას შესახებ „ფეხის დაბიჯებებზე“ პრემიერმა ჩვეულ ტონალობაში თქვა, რომ ირაკლის შეეშალა და ჯარს მიხედავს, „კლიატვა“ დადოო. მოკლედ, ბიძინა ივანიშვილმა სანახაობრივად იმედი გაუცრუა უფასო სპექტაკლებზე შეყვარებულ ადამიანებს.

ერთ სოციალურ ქსელში გაჩნდა საინტერესო პოსტი, რომლის ოდნავ სახეცვლილ ვერსიას გთავაზობთ:

ვხედავ, ჩემი შვილი მაკა სამლიტრიანი ქილით წყალს დგამს ტელევიზორის წინ. ბიძინას გამოსვლა იქნება და უნდა დავმუხტოო; შევატყვე, როცა ვუყურებ, დეპრესიაზე, მაგრა მშველისო, იქნება დაიტენოს და დილაობით თავზე მინდა ვისხაო. ვატყობ, მართლა, აშკარად გამოკეთდა. გადავწყვიტე ექსპერიმენტის ჩატარება. მეორე ქილით წყლის დადგმა დავიწყე მიშას გამოსვლაზე. წყალი ოდნავ „გამუტნდა“. მაკას ერთხელ შეეშალა და „მიშა“ იპკურა. საშინელ დეპრესიაში დამხვდა. სუნიც ფერის მაგვარი უსიამოვნო ასდიოდა. მთელი ქილა „ბიძინა“ დავასხი, ძლივს მოვიყვანე აზრზე. მეზობელი გვყავს, გურული ბიჭია. დილის ექვს საათზე მანქანას აღმუვლებს ხოლმე, ბაზარში დადის მაღაზიისათვის პროდუქტი მოაქვს, მთელ ოჯახს გვაღვიძებს. ერთხელ ისეთ გოიმობაში ჩამაგდო, რომ მის საცოდავ ნოლშესტს „მიშა“ დავასხი. დაუსტუკა. შემრცხვა. „ბიძინა“ მივასხი. ვითომც არაფერი, ისე დაიქოქა, ის კი არა, დაჟე გლუშიწელიც სასწაულად დაისვარკა. „მიშას“ „ბიძინას“ თუ ახლოს მივუდგამ, მუქდება. რაღაცნაირად შეშინებულია, გაზებს გამოყოფს მეთანის სუნით. ერთხელ შემთხვევით ღამე დაგვრჩა გვერდი-გვერდ. სუნმა გაგვაღვიძა. ვხედავ „მიშა“ „ბიძინას“ გაურბის და რაფის კიდეზეა მიცოცებული, ცოტაც და გადავარდება. გადავრჩით. მაკამ არ გააბაზროო, ბიზნეს წამოვიწყებო. „ბიძინას“ სამკურნალოდ გავყიდი, „მიშას“ ტარაკნების დასაწამლადო. თითო პენიცილინის შუშას მინიმუმ 15 ლარადო. აი, გავუბაზრე, არ მევასება ყველაფერზე ფულის კეთება.

ამის შემდეგ, თუ რამე დაეჯერება წყლის დამუხტვას, ბიძინას და მიხეილის ერთად სადმე ყოფნა იქნება შესაძლებელი?! დადებითად და უარყოფითად დამუხტული ნაწილაკები ხომ იწვევენ ჭექა-ქუხილს და მეხთატეხას? არ მგონია, მეხი და სეტყვა გვჭირდებოდეს კიდევ.

სავარაუდოდ, არც პატრიარქი მივა პრეზიდენტის გამოსვლისას პარლამენტში. შეიძლება მეუფე კალისტრატემ ისურვოს დავით აღმაშენებლის საფლავზე მომფიცავი პრეზიდენტის რეალური მოსმენა, თუმცა ამბობენ, რომ მეუფე კალისტრატემ აშკარად მოუკლო „მეოცნებე“ მრევლის ანათემაზე გადაცემაო თუ საერთოდ შეწყვიტაო.

ჯონდი, რომელიც ბონდის დარად ეფურტკნებოდა ადრინდელ გამოსვლებზე მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტში აღარაა. უმრავლესობის ზოგიერთი წევრი ალბათ „დუმილის ბიჭების“ სტატუსს შეინარჩუნებს, თუმცა ემოციური ნაწილი „მეოცნებეებისა“ მაინც მოახერხებს მწარე კვერების გამოცხობას. სავარაუდოდ, „რესპუბლიკელები“ დელიკატური კითხვებით მოახერხებენ სააკაშვილის აკადემიური სიმშვიდის დარღვევას, ზვიად ძიძიგურიც ალბათ შეახსენებს უსიამოვნო ფაქტებს ბატონ პრეზიდენტს.

მოკლედ, პრეზიდენტი ჩვეულ სტილს არ უღალატებს და თავისას მაინც იტყვის. შესაძლებელია, უმრავლესობამ პროტესტის ნიშნად დარბაზიც დატოვოს, პრეზიდენტმა კი ლექსების ციტირებითაც გაგვაოცოს.

სხვა თუ არაფერი, დავითობას სანახაობა აუცილებლად გვექნება. პრეზიდენტს „თეთრები“ და ვადაგასულის იარლიყის მიმწებლები აუცილებლად უპირებენ სირცხვილის კორიდორის მოწყობას. ანუ პარლამენტში მისვლამდე და მისვლის შემდეგ ბატონ პრეზიდენტს სანეტრალო დავითობა არ ელოდება მაინცდამაინც.

# ლაშა ამირეჯიბი: „ვალერი ხაბურძანია საქართველოში ნაციონალებმა ჩამოიყვანეს“

**„საქართველოში სამართლიანობის აღდგენისკენ გადადგმულ ნაბიჯებს ვერ ვხედავ“ — აცხადებს სახალხო კრების სათათბირო დარბაზის წევრი ლაშა ამირეჯიბი და „ნიუსპრესთან“ საუბარში, საქართველოში განვითარებულ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებს აფასებს.**

***— როგორ შეაფასებდით ქვეყანაში მიმდინარე „სამართლიანობის აღდგენის პროცესს“?***

— სამართლიანობის აღდგენის პროცესი საქართველოში ჯერ არ დაწყებულა. მე ვერ ვხედავ სამართლიანობის აღდგენისაკენ გადადგმულ რეალურ ნაბიჯებს. თუკი ჩვენ ვლაპარაკობთ სამართლიანობის აღდგენაზე, პირველ რიგში უნდა გაიხსნას ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმე, შემდეგ გირგვლიანის და ყველა იმ ახალგაზრდის საქმე, რომლებიც წინა ხელისუფლებამ შეიწირა. მხოლოდ მაშინ დავინახავ მე ხელისუფლების კეთილ ნებას, როდესაც ეს საქმეები გაიხსნება და თაროებზე აღარ შემოიდება. უკვე რამდენიმე თვეა, საზოგადოებამ, სამწუხაროდ, ვერ გაიგო არის თუ არა ძიებაში და როგორი შედეგით დამთავრდება ზურაბ ჟვანიას საქმე. ხელისუფლების კეთილი ნება იმ შემთხვევაში დაფიქსირდება და ამას ქართული საზოგადოებაც დაინახავს, როდესაც ეს ყველაფერი გაირკვევა.

***— რამდენიმე თვის წინ თქვენ ახალ ხელისუფლებას საკადრო პოლიტიკის გამო აკრიტიკებდით. შეიცვალა თუ არა ლაშა ამირეჯიბმა პოზიცია ამ მიმართულებით?***

— პოლიტპატიმრებისთვის და საზოგადოებისთვის არაფერი შეცვლილა. შინაგან საქმეთა სამინისტროში ფაქტიურად იგივე კადრებია და ეს ყველაფერი, მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძის დამსახურებაა, რადგან ეს ხალხი სამსახურში მან დატოვა. მაქვს ინფორმაცია, რომ ხვედელიძემ დაიბარა რამდენიმე კაცი „ქართული ოცნებიდან“ და უთხრა: — ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ რაიონებში გამგებლებად უშიშროების სამსახურის თანამშრომლები უნდა დაინიშნოსო. ასევე უთქვამს, რომ პოლიტიკური პარტიის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებადაც, კონსიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები უნდა იყვნენო. ხვედელიძე ამით ყველაფერზე კონტროლის განხორციელებას ცდილობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ბატონი ბიძინას გადაწყვეტილება, ეს არის ხვედელიძის ვიწრო პოლიტიკური ინტერესი, რომ ყველგან თავისი ხალხი დანიშნოს. ჩვენ ბიძინა ივანიშვილი ავირჩიეთ იმიტომ, რომ გავქცეოდით „პოლიციურ ქვეყანას“ და გამოდის, რომ ვიღებთ იგივეს. მინდა ხვედელიძეს მისი მეგობრის, ვაჟა ლილუაშვილის გათავისუფლება მივულოცო, რადგან მან თავად იზრუნა მის გათავისუფლებაზე. ლილუაშვილი გახლდათ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. ადამიანი, რომელსაც ძალიან ბევრ რამეზე აქვს ხელი მოწერილი. ეს პოლიტიკური კუთხით „ქართული ოცნების“ დიდი მინუსია. ხვედელიძემ ძალიან ბევრი ის ადამიანი დატოვა სამსახურებში, რომლებიც აქციებს არბევდნენ და ახალგაზრდების სისხლს ღვრიდნენ. მან არა მარტო დატოვა სამსახურებში ასეთი ხალხი, არამედ დააწინაურა კიდეც ისინი.

***— ამ ფონზე, როგორ შეაფასებდით დავით უსუფაშვილის ინიციატივას, რომლის თანახმადაც, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს და ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკებს, რომელთაც მძიმე დანაშაული არ ჩაუდენიათ, სხვა სახის დანაშაული უნდა ეპატიოთ და ეს კანონითაც უნდა იყოს გამყარებული***

— არ ვიცი რას გულისხმობს დავით უსუფაშვილი მძიმე დანაშაულში. ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც 26 მაისის ღამეს სახლებიდან, ტელევიზიით ადევნებდნენ თვალს თუ როგორ ჩახოცეს ახალგაზრდა ბიჭები რუსთაველზე და როგორი სისხლის კალო მოაწყვეს ნაციონალებმა და არ დადგნენ ამ დროს ხალხის გვერდით, ისინი ნამდვილად აპატიებენ ძველ ხელისუფლებას ყველაფერს.

***— დავით უსუფაშვილს არ აქვს უფლება ხალხის სახელით ისაუბროს. მოდით ვკითხოთ ხალხს აპატიებს თუ არა ქართული საზოგადოება მაღალჩინოსნებს ამ დანაშაულებებს?***

— მინდა უსუფაშვილს ვთხოვო, რომ ამ საკითხს საკუთარ თავზე ნუ აიღებს. მას უბრალოდ სთხოვეს რომ ეს გაეხმაურებინა. ეს მოდის დასავლეთიდან, დასავლეთს უნდა, რომ შეინარჩუნოს ეს „დემოკრატიის შუქურა“, რომელმაც ძალიან ბევრი სისხლი დაღვარა. დასავლეთს არ უნდა აღიაროს, რომ „ვარდების რევოლუციამ“ კრახი განიცადა.

***— იგორ გიორგაძე, ლევან მამალაძე, ვანო ჩხარტიშვილი, — ეთანხმებით თუ არა მათ პოლიტდევნილებად აღიარებას?***

— ესენი არიან პოლიტდევნილები არიან მძიმე დანაშაულებებით. მაგალითად, ვალერი ხაბურძანიას და გიორგაძეს შორის განსხვავება ის არის, რომ გიორგაძე პირდაპირ ებრძოდა ედუარდ შევარდნაძეს, ხაბურძანიამ კი მიხეილ სააკაშვილს პირდაპირ გაუხსნა პარლამენტის კარი. ქართველი ერის დაქცევა და განადგურება 9 წლის მანძილზე, ხაბურძანიას დამსახურებაა. მას შემდეგ რაც, ხაბურძანიამ ეს ყველაფერი პაპაშვილთან და კიდევ რამდენიმე კაცთან ერთად გააკეთა, რუსეთიდან დაურეკეს სააკაშვილს და უთხრეს ხაბურძანიასთვის ხელი არ ეხლოთ, სწორედ ამის შემდეგ წავიდა ის რუსეთში. ძველ ხელისუფლებას უნდა რუსული თემა აიტაცოს და ამ თემით ქულები დაიწეროს საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე ძველი ხელისუფლება დაუკავშირდა ხაბურძანიას, რომ ჩამოსულიყო საქართველოში და შეექმნა პრორუსული პოლუსი. ეს არის დაკვეთა, თუმცა ქართველ ხალხს არ დაავიწყდება რა ჩაიდინა ხაბურძანიამ იმით, რომ პარლამენტის კარი გაუღო „ნაციონალურ მოძრაობას“.

ხაბურძანია რუსებს დღეს არ სჭირდებათ, ეს სჭირდება მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დაიწყონ ქართველი ერის შანტაჟი რუსული თემით. რაც შეეხება ვანო ჩხარტიშვილს, ის არის პოლიტდევნილი, რომელმაც უნდა გაარკვიოს ანაზრების თემა, როდესაც საქართველოში „ჩამობრძანდება“ და საქართველოს მოსახლეობას აუხსნას რა მოხდა სინამდვილეში.

სამწუხაროდ, ეს ორი პოლუსი — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ დიდიხანია ერთმანეთთან კოჰაბიტირებულნი არიან. რა თქმა უნდა არა ყველა „ქართული ოცნების“ წევრი, არამედ რამდენიმე წარმომადგენელი, ნაციონალურ მოძრაობასთან ჯერ კიდევ 2003 წლიდან იყო



კოჰაბიტირებული. ეს ადამიანები ერთი ბინძური თესლისგან არიან აღმოცენებულები.

ნუ დაგვავიწყდება ხაბურძანიასა და ლაშა ნაცვლიშვილის, ასევე ხაბურძანიასა და ხვედელიძის დიდი მეგობრობა, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს საბოტაჟი და შესაძლოა ამ ყველაფერმა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ძალიან ცუდად იმუშაოს. არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ ეს არის შეთქმულება პირადად ბიძინა ივანიშვილის წინააღმეგ, რადგან ძალოვან სტრუქტურებში დარჩნენ სწორედ ის ადამიანები, ვინც ემსახურებოდნენ მიხეილ სააკაშვილს და ვანო მერაბიშვილს.

***— თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გადაყენების მიზეზი და როგორ შეაფასებდით ამ საკითხს?***

— ირაკლი ალასანიას გათავისუფლების მიზეზი გია ხუხაშვილია. ბოლოს, როდესაც გია ხუხაშვილი პრემიერთან მივიდა მან უთხრა, რომ ალასანიას „31-ე ქარხნის“ მითვისება უნდაო, ამ თემით გაალიზიანა ბატონი ბიძინა და რა შედეგებიც მოჰყვა ამას, ყველამ კარგად დავინახეთ. რკინიგზის უკან, 31-ე ქარხნის უკან, ახალი ნავთობ გადამამუშავებელი ქარხნის უკან, რომელიც ჩემი ინფორმაციით ყულევში უნდა აშენდეს, ამ ყველაფრის უკან გია ხუხაშვილი დგას.

ხუხაშვილი როდესაც მივიდა ბიძინასთან და ჩაუჩურჩულა, რომ ალასანიას უნდა ამ ყველაფერის ხელში ჩაგდებაო, მან პრაქტიკულად გაწირა ალასანია. ეს არის მისი ცნობილი ფანდი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კაცი დაინიშნოს 31-ე ქარხნის დირექტორად.

ის ასევე ცდილობს ტვირთების გადაზიდვის სისტემის ხელში ჩაგდებასაც. სამწუხაროა, რომ ბატონმა ბიძინამ ეს არ იცის. ქართველებმა არ უნდა დავუშვათ ქვეყანაში მსხვილი ბიზნესის ხელახალი გადანაწილება. სწორედ გია ხუხაშვილი დგას ამ საქმის უკან, ის მსხვილ ბიზნესებს კურირებს და ძალიან საინტერესოა ბატონი ხუხაშვილი რომელი ჯგუფის ბიზნეს პოლიტიკას ატარებს საქართველოში.

გია ხუხაშვილს ეს ყველაფერი ხელიდან უნდა გამოვტაცოთ, ეს კაცი არის ფუძემდებელი მსხვილი ბიზნესის ხელახლა გადანაწილების. ხუხაშვილი ასრულებს რომილიღაც ფინანსური ჯგუფის დაკვეთას და სამწუხაროა, რომ ამის შესახებ ბატონმა ბიძინამ არაფერი იცის. მე ვიმედოვნებ რომ ბატონი გია ხუხაშვილი ამ საკითხებს ძალიან ფაქიზად მოეკიდება და სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

ლიკა მეგუთნიშვილი
საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“

## ყოფილი პოლიტპატიმრები სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვენ

ყოფილი პოლიტპატიმრები: მელორ ვაჩნაძე და ლევან გოგიჩაიშვილი სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელ ნათია იმნაძისა და ამავე ჯგუფის წევრ ოთარ კვაჭაძისთვის სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვენ. ამის შესახებ განცხადება მათ გაზეთ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

როგორც მელორ ვაჩნაძემ აღნიშნა, ნათია იმნაძე და მისი თანამშრომელი ოთარ კვაჭაძე ციხეებში არსებულ ადამიანების ღირსების შემლახავი ფაქტების დამალვით იყვნენ დაკავებულნი. ისინი ერთხელ ყოფილან შენიშნული ფაქტების შელამაზებასა და ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაში.

„მათი დასკვნები სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის დასკვნებთან თანხმობაში მოდიოდა. წლების მანძილზე სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფს არ გაჰქონდათ ციხიდან ის საჩივრები, რომლებიც ადმინისტრაციას ეხებოდა. ციხეში მათი შემოსვლა მხოლოდ ვალის მოხდა იყო. მინდა მივმართო სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს, სასჯელაღსრულების 18 დაწესებულებაში გამოჰკითხოს პატიმრები და ამ ადამიანების საქმიანობის შესახებ მიიღოს ინფორმაცია“, — აღნიშნა მელორ ვაჩნაძემ.

ლევან გოგიჩაიშვილის მოსაზრებით, აუცილებელია, სახალხო დამცველმა ნათია იმნაძესა და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს უფლებამოსილება შეუჩეროს და ყველა ფაქტი სიღრმისეულად შეისწავლოს. ასევე უნდა იყოს შესწავლილი მათი ურთიერთობა ციხის ადმინისტრაციასთან.

„ჩვენ, პოლიტპატიმრები, სახალხო დამცველის კანცელარიაში შევიტანეთ ხელმოწერებს და ვისაუბრებთ იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ჩვენ მიმართ მონიტორინგის სამსახურმა, კერძოდ კი ნათია იმნაძემ ჩაიდინა“, — აღნიშნა ლევან გოგიჩაიშვილმა.

მედიანიუსი

## საპარლამენტო უმცირესობას გიორგი ფეიქრიშვილიც ტოვებს

დეპუტატები გიორგი ფეიქრიშვილი (გარდაბნის მაჟორიტარი) და მარიკა ვერულაშვილი საპარლამენტო უმცირესობაში შემავალ ფრაქციებს ტოვებენ. ეს განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა გააკეთა.

მისი თქმით, ამ დეპუტატებმა პარლამენტს შესაბამისი განცხადებით უკვე მიმართეს.

მედიანიუსი

2013, 7 თებერვალი, №31

# რა სტრატეგიას ირჩევს ჯანდაცვის სამინისტრო?

მერი ნამორაძე



**ჯანდაცვის სამინისტრომ დარგის განსავითარებელი სტრატეგია უკვე შეარჩია. ეს უწყება აპირებს, თანაბრად განავითაროს ჯანდაცვის სისტემის სამი მთავარი კომპონენტი — ხარისხი, ღირებულება და მიწვდომადობა. როგორც მინისტრი დავით სერგეენკო აცხადებს, ამ სამი კომპონენტიდან ერთ-ერთის ცვლილება იწვევს დანარჩენი ორის ცვლილებას. ამასთან, თუ სამივე კომპონენტის თანაბარი მართვა არ მოხდა, იზოლირებულად მხოლოდ ერთ-ერთზე ზრუნვა ნეგატიურ გავლენას იქონიებს დანარჩენზე.**

— მაგალითად, თუ მხოლოდ დაფინანსების მომატებაზე იზრუნებენ, ეს აუცილებლად ნეგატიურ გავლენას იქონიებს ხარისხსა და მიწვდომადობაზე. წარმოვიდგინოთ, რომ არსებული ხარისხისა და მიწვდომადობის პირობებში მხოლოდ დაფინანსება გაიზარდა, ანუ სახელმწიფომ მეტი თანხა გამოყო (რაც მოხდა კიდეც) ჯანდაცვითი პროგრამების განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას სიუხვის პარადოქსი. ამგვარი პარადოქსის წინაშე შეერთებული შტატების ზოგიერთი შტატის ჯანდაცვა დადგა, როცა დაფინანსების გაზრდამ ხარისხის შემცირება გამოიწვია, — აღნიშნა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა.

— საყოველთაო დაზღვევის პირველ ეტაპზე ასეთი რისკები მოსალოდნელი არ არის, რადგან პირველადი ჯანდაცვის ობიექტებს აქვს იმის დიდი რესურსი, რომ მომატებული ნაკადი მიიღოს, ხოლო გადაუდებელ მდგომარეობაში ადამიანები ისედაც მიმართავდნენ სამედიცინო დაწესებულებებს და, თუ რაიმე გარეშე ფაქტორი არ გაჩნდა, რომელიც გაზრდის გადაუდებელ შემთხვევებს, მათი ზრდა არ არის მოსალოდნელი. განსხვავება იქნება ის, რომ თუ ადრე საკუთარი ჯიბიდან იხდიდნენ ადამიანები გადაუდებელი სამედიცინო დახმარების თანხებს, თებერვლის ბოლოდან მათ ამაში სახელმწიფო დაეხმარება. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ხარისხს, ეს მეტად რთული და კომპლექსური პროცესია. თანამედროვე ჯანდაცვა არ არის მხოლოდ კარგი საავადმყოფო, სამედიცინო აპარატურა და მხოლოდ კარგი ექიმი. ეს რთული პროცესია, სადაც ყველა რგოლი თანაბარი ხარისხით უნდა იყოს წარმოდგენილი, — აღნიშნა მინისტრმა.

როგორ შეიძლება გაკონტროლდეს სამედიცინო დახმარების ხარისხი და რა შედეგი მოაქვს მის გაკონტროლებას? სერგეენკო ირწმუნება, რომ ადეკვატური ხარისხის პირობებში სამედიცინო დანახარჯები შეიძლება 20-დან 40%-მდე შემცირდეს, საშუალოდ — 30%-ით.: — თუ ხარისხიანი ჯანდაცვა ექნება ქვეყანას, შეიძლება დანახარჯების მესამედის დაზოგვა იმ მხრივ, რომ ისევ საქართველოს მოქალაქეებს მოვახმაროთ ეს თანხა. წარმოვიდგინოთ, რომ არსებული ბიუჯეტი გავზარდოთ ერთი მესამედით, ამას მივაღწევთ ხარისხის კონტროლით. ეს არ არის რამდენიმე დღის ან თვის საქმე. ეს არის სახელმწიფოს მიერ არჩეული სტრატეგია ხარისხის კონტროლის შესახებ. არსებობს ტოტალური ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. სწორედ ამ სისტემის დანერგვას ვაპირებთ. რა თქმა უნდა, ამ წლის ბოლოს არ ველოდებით 30%-იან თანხების დაზოგვას, მაგრამ ხარისხის კონტროლის მიმართულება არის სწორი, აუცილებელი და საშურად დასაწყისი, — ირწმუნება მინისტრი.

რაც შეეხება ღირებულებას, ერთსა და იმავე სამედიცინო ჩარევას შეიძლება სხვადასხვა ფასი ჰქონდეს სხვადასხვა დაწესებულებაში. სამინისტრო აპირებს, ღირებულებების სისტემა მოყვანილი იყოს ერთიან ველში. არჩეული იქნება ე.წ. დიაგნოზთან მიმართებული ჯგუფები. საქართველოში უკვე იმყოფება ამ სისტემის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი. როგორც ამბობენ, საუკეთესო შემთხვევაში ამ სისტემის დანერგვას 1,5 წელი დასჭირდება. სამედიცინო მომსახურების ღირებულებების განსაზღვრა კი, მინისტრის განცხადებით, სულაც არ არის კომუნიზმში დაბრუნება და კერძო დაწესებულებებზე ზეწოლა. ეს სამინისტროს შესაძლებლობას მისცემს, გააუმჯობესოს ხარისხი და თანხები მიზნობრივად გამოიყენოს.

რაც შეეხება მიწვდომადობას, მინისტრი ამბობს, რომ რაც უნდა მაღალი და ფინანსურად მიწვდომადი სერვისი იყოს სამედიცინო დაწესებულებაში, იგი გეოგრაფიულად მიწვდომადი უნდა იყოს პაციენტისთვის. ეს არის სამკუთხედის სამი წვერი, სამივე კომპონენტზე ზემოქმედების გარეშე შეიძლება უარესი შედეგი მიიღოს სისტემამ, როცა ფინანსური შესაძლებლობები გაიზრდება.

სამინისტროს სტრატეგიის მეორე ნაწილი იქნება იმ დაავადების კონტროლი და პრევენცია, რომელიც გავრცელების მასშტაბით პირველ ადგილზეა საქართველოში. ეს არტერიული ჰიპერტენზიით გამოწვეული გართულებებია, რომელიც მთელ მსოფლიოში კლავს უფრო მეტ ადამიანს, ვიდრე ნებისმიერი სხვა დაავადება, ერთად აღებული. მინისტრის ინფორმაციით, მინიმუმ 50%-ში სიკვდილობის მიზეზი სხვადასხვა ქვეყნებში არტერიულ ჰიპერტენზიას უკავშირდება, საქართველოში კი ეს ციფრი 68%-ს აღწევს. სერგეენკო მიიჩნევს, რომ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საქართველოში ამ მდგომარეობის მართვა. ამიტომ ჯანდაცვის სამინისტრო წლევანდელ წელს არტერიულ ჰიპერტენზიასთან ბრძოლის წლად აცხადებს. რა თქმა უნდა, ერთი ხელის მოსმით დაავადების აღმოფხვრა შეუძლებელი იქნება, მაგრამ მინისტრი დარწმუნებულია, რომ ამ დაავადებით გამოწვეული ფატალური შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს.

ბოლო ხანებში ექსპერტები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გაყოფის შესაძლო ვარიანტზე ალაპარაკდნენ. ნებისმიერი ახალი უწყების ჩამოყალიბება დიდ დანახარჯებს უკავშირდება და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული ქვეყნის ბიუჯეტისათვის ერთის ნაცვლად სამი ახალი უწყების შენახვა ერთობ ძვირადღირებული შეიძლება აღმოჩნდეს. მაინც რატომ გაჩნდა ეს აზრი, რამდენად ახერხებს სერგეენკო, „შეეჭიდოს“ სამი უზარმაზარი პრობლემის მოგვარებას, რასაც ჯანდაცვა, შრომა და სოციალური დაცვა ჰქვია? რამდენად დაინახეს ექსპერტებმა მინუსები მინისტრის მოღვაწეობაში?

თავად მინისტრი საკუთარ მოღვაწეობას 10-ბალიანი სისტემის გამოყენების შემთხვევაში სამი ქულით აფასებს, უწყების დაყოფის თაობაზე კი „ახალ თაობას“ განუცხადა, რომ რიგ ქვეყნებში ჯანდაცვის მიმართულება ცალკე სამინისტროდ არის ჩამოყალიბებული, ზოგან ჩვენი ანალოგიური უწყებები არსებობს, უნგრეთში კი იმავე სამინისტროში რვა სხვადასხვა მიმართულება შედის.

— ამას განსაზღვრავს ყველა სამინისტრო არსებული გამოწვევების მიხედვით, რაც იმ ეტაპს სჭირდება. ჩვენს შემთხვევაში, კარგია თუ ცუდია, რომ ერთი სამინისტრო მოიცავს ამ სამივე მიმართულებას? ასე ცალსახად ამის თქმა გამიჭირდება. სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე, რომელიც უახლოეს თვეებს მოიცავს, სამინისტროში თავმოყრილია სამი ისეთი სტრატეგიული მიმართულება, რომლებიც, ალბათ, პირველი პრიორიტეტებია ქართული სახელმწიფოსათვის. შეიძლება, ერთი სამინისტროსთვის, როგორც ასეთი, ეს ძალიან ბევრი ჩანდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩაითვალა, რომ უკეთესია, ეს იყოს ერთ სამინისტროში კოორდინირებული საკითხი. უახლოესი თვეების ამოცანების შესასრულებლად ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ეს, მაგრამ, თუ დადგება საკითხი, ეს გადანაწილდეს, ამით შემცირდება ჩემი პირადი პასუხისმგებლობა, მაგრამ ვიღაცის — პროპორციულად მოიმატებს. ამით მთავრობის პასუხისმგებლობა დარჩება იგივე. რაც შეეხება თვეებისა და წლების შემდგომ სტრუქტურას, იქნება იმის შესაბამისი, როგორიც იქნება რეალური გამოწვევები და საჭიროებები, — აღნიშნა მინისტრმა.

რაც შეეხება სოციალური მომსახურების სააგენტოში წინა ხელისუფლების მიერ პარტიული აქტივისტების ჩაბმას, სერგეენკო ამ სააგენტოს ფუნქციებზე შეეცადა ჩვენი წარმოდგენის შექმნას:

— ზოგადად წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, რა არის ეს სოციალური მომსახურების სააგენტო, ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში და სამინისტრო სამინისტროში, ერთ-ერთი მძლავრი სტრუქტურაა, რომელიც განკარგავს მთლიანად სამინისტროს ფინანსური რესურსების 80%-ზე მეტს. თანამშრომელთა რესურსითაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტრუქტურაა, რომლის კონტროლი და ადმინისტრირება მნიშვნელოვანია, რადგან ამ მასშტაბებში ადვილია რესურსების არასწორი მიზნებისთვის გამოყენება. რამდენიმე დღის წინ შევცვალეთ სააგენტოს ხელმძღვანელობა, შეიცვალა მინისტრის მოადგილე, რომელიც უშუალოდ ამ სფეროს კურირებდა და სააგენტოში მიმდინარეობს დინამიკის, თანხების, სოციალური გასაცემლების, ადამიანური რესურსების შესწავლა. იკვეთება საინტერესო დინამიკა იმავე სოციალური გასაცემლების რაოდენობაზე, ბენეფიციარებზე. რადგან შესწავლის პროცესშია საქმე, ყველა დეტალს ვერ მოვყვები. მნიშვნელოვანი კორელაცია შეინიშნება იმ პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებით, რაც წინა წლებში ხდებოდა. ამას სწავლობს სამინისტროს შიდა აუდიტიც და ამ თემით დაინტერესებულია იუსტიციის სამინისტრო, — გვითხრა მინისტრმა.

# გიორგი თარგამაძე 7 ნოემბრის მოვლენებზე გამოძიების დაწყებას მიესალმება



საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გიორგი თარგამაძე მთავარ პროკურორის არჩილ კბილაშვილის მიერ 7 ნოემბრის მოვლენების გამოძიების დაწყებაზე გაკეთებული განცხადების გამო კმაყოფილებას გამოთქვამს.

როგორც მან „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კბილაშვილის ოპერატიულ რეაგირებას ქრისტიან-დემოკრატების შესაბამის მოწოდებაზე, სიამოვნებით გამოეხმაურა.

„ 7 ნოემბრის მოვლენების გამოძიება საჭირო, გადაუდებელი და აუცილებელია. ჩემი და ჩემი მეგობრების ამოცანაა. არამხოლოდ ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის და ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა, არამედ იმ დანაშაულებათა ჯაჭვის გამოძიება, რომელიც 7 ნოემბერს მოჰყვა და „იმედის“ მაუწყებლობის შეწყვეტას უკავშირდება. გამოძიება აქტიურად უნდა მუშაობდეს დეტალების დასადგენად და სხვა მოვლენებთან ერთად ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებული ფაქტებისათვის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასების მისაცემად“,— აღნიშნა გიორგი თარგამაძემ

მისი თქმით, ქრისტიან-დემოკრატებს სხვადასხვა უწყებისა და სახალხო დამცველისთვის ჩვენებები არაერთხელ აქვს მიცემული. ეს ჩვენებები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეტანილ სარჩელში არის ასახული.

თარგამაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტების გამოძიების აუცილებლობაზე, თუ როგორ მოხდა „გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის ჩაწერა ლონდონში, ვინ გააკეთა ეს ფარული ჩანაწერი და რა ფორმით ჩამოიტანეს საქართველოში“. თარგამაძე აუცილებლად მიიჩნევს, დადგეს მაშინდელი მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

„არ მგონია, იმ მოვლენების მთავარი ფიგურანტები ის სახედამალული სპეცრაზმელები იყვნენ, რომლებიც დავალებებს ასრულებდნენ. უპირველესად, დამნაშავეა ის, ვინც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და ვინც წლების განმავლობაში ქმნიდა მითს სახელმწიფო გადატრიალებასა და მასში ჩვენს მონაწილეობაზე“, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ქრისტიან-დემოკრატები გამოძიების ოპერატიულად დაწყებას ელოდებიან.

**მედიანიუსი**

## გამოკითხულთა 57,1% საკადრო პოლიტიკით უკმაყოფილოა

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 29 იანვრიდან 5 თებერვლამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობას, საქართველოში მიმდინარე საკადრო პოლიტიკა არ მოსწონს.

კითხვაზე — „კმაყოფილი ხართ თუ არა ახალი მთავრობის საკადრო პოლიტიკით“, გამოკითხვაში მონაწილეთა 57,1 პროცენტმა უპასუხა, რომ უკმაყოფილოა, საწინააღმდეგო მოსაზრება კი მონაწილეთა 25-მა პროცენტმა დააფიქსირა.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა 17,9 პროცენტს გაუჭირდა.

**ნიუსპრესი**

## ზაზა სინაურიძემ საკრებულო დატოვა

თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელმა ზაზა სინაურიძემ საკრებულო დატოვა.

როგორც საკრებულოს უკვე ყოფილი დეპუტატი აცხადებს, ის არცერთ პარტიაში გაწევრიანებას არ აპირებს და საკრებულოს დატოვება პოლიტიკას არ უკავშირდება.

ზაზა სინაურიძე საკრებულოდან წასვლის მიზეზად საზღვარგარეთ ხანგრძლივი დროით დასაქმების მიზნით გამგზავრებას ასახელებს.

„მე ვარ ექიმი და პერსპექტივა გამიჩნდა, რომ დიდი ხნით წავიდე საზღვარგარეთ. ამიტომ ამას არანაირი პოლიტიკური მოტივი არ აქვს. არცერთ პარტიაში გადასვლას არ ვაპირებ, მე უპარტიო ვიყავი ყოველთვის“, — განაცხადა სინაურიძემ.

საკრებულოს უმრავლესობა კი ამაში პრობლემას ვერ ხედავს და აცხადებენ, რომ საკრებულოს წევრთა დაკომპლექტებაზე მუშაობენ. ისინი აცხადებენ, რომ ნაციონალური მოძრაობა თბილისის საკრებულოში კვლავ ინარჩუნებს უმრავლესობას.

**მედიანიუსი**

# მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვაზე ინფორმაცია გავრცელდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვაზე ინფორმაცია გაავრცელა.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლის 2 ოქტომბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სულ 16 585 427 ლარი გამოიყო, საიდანაც თანხის ნაწილის, კერძოდ – 4 973 773 ლარის გამოყოფა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ივანე მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრობის, ხოლო დარჩენილი 11 611 654 ლარის გამოყოფა ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობის პერიოდს უკავშირდება.

„2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ივანე მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში თანხის ყველაზე დიდი ნაწილი – 2 473 773 ლარი კანადური ავიაკომპანია „კენ ბორეკ ეარსა“ და შპს „საქართველოს აეროპორტებს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებული თანხის დაფარვას ასანაზღაურებლად იყო გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია, რომ განკარგულება, რომლის საფუძველზეც კანადურ ავიაკომპანიასა და შპს „საქართველოს აეროპორტებს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1364 განკარგულებაში ცვლილების შეტანის მიზნით მიიღეს. თუმცა საქართველოს მთავრობის 13 ივლისის №1364 განკარგულება, განსხვავებით მთავრობის სხვა განკარგულებებისგან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების მიმოხილვით ანგარიშში არ ფიქსირდება“, - აღნიშნულია საიას განცხადებაში.

საიას ცნობითვე, ამ პერიოდში სარეზერვო ფონდიდან 1, 500 000 ლარი საფეხბურთო კლუბ „დილასთვის“, ხოლო 1 000 000 საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოიყო. ორგანიზაციის ინფორმაციით, პარლამენტის მხრიდან ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ყველაზე მეტი – 2 213 790 ლარი საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და პედაგოგების მატერიალური წახალისების მიზნით გამოიყო.

„მნიშვნელოვანი თანხა გამოიყო ასევე 2012 წლის ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების (2 157 600 ლარი), ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (2 150 000 ლარი) და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ხარჯების დაფარვის მიზნითაც (2 000 000 ლარი). საარჩევნო კამპანიის დაფინანსების პირობად საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება იქნა მიჩნეული და შესაბამისად თანხები ორ საარჩევნო სუბიექტს: – „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ (1 000 000 ლარი) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ (1 000 000 ლარი) გამოეყოთ“, -– ნათქვამია საიას განცხადებაში.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, მისი წევრები კვლავ აპირებენ, გააგრძელონ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან თანხის ხარჯვაზე ინფორმაციის მოთხოვნა და პერიოდულად საზოგადოებისთვის მიწოდება.

**მედიანიუსი**

# კახა კუკავა: „ივანიშვილი სააკაშვილს ემსგავსება“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან



***— ბატონო კახა, პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ასდღიანი მუშაობა შეაფასა. როგორი იქნება თქვენი, როგორც ოპონენტის თვალით დანახული შეფასებები?***

— პირველ რიგში, სანამ ვისაუბრებდეთ თვითონ შინაარსზე, მანამდე მინდა ფორმაზე ვისაუბრო. მე ვფიქრობ, ფორმა უნდა დახვეწოს პრემიერ-მინისტრმა, იმიტომ რომ ის კრიტიკა, რასაც მას ხშირად ეუბნებიან, რომ ის ვერ გამოვიდა წინასაარჩევნო როლიდან, სამართლიანია. პრემიერ-მინისტრი უნდა იქცეოდეს, როგორც ქვეყნის და არა როგორც პარტიის მეთაური. ჩვენ არ მოგვწონდა სააკაშვილი, როცა ის იყო დებატებში თავის ყველა ოპონენტთან და ვხედავთ, რომ ივანიშვილიც ვერ იტანს, ძალიან შეუწყნარებელია განსხვავებული აზრის მიმართ, იქნება ეს საკუთარი მთავრობის მინისტრები, რომლებმაც, რომელ ქალაქში მიდიან და რა საქმე აქვთ, ყველაფერი პრემიერ-მინისტრს უნდა შეუთანხმონ და დამთავრებული იმ 20-25 წლის ჟურნალისტი გოგონებით, რომლებსაც სიტყვას პირიდან ართმევდა. ჩემი აზრით, პრემიერს უნდა ჰქონდეს უფრო სოლიდური ქცევა და შემწყნარებელი უნდა იყოს განსხვავებული აზრის მიმართ. რაც შეეხება შინაარსს, იყო ბევრი საინტერესო მომენტი, განსაკუთრებით რაც შეეხება სოფლის მეურნეობასა და ჯანმრთელობის დაცვას, მთავრობის ინიციატივები ნამდვილად სოლიდურია. თუმცა მე, მართალი რომ გითხრათ, უფრო და უფრო სკეპტიკურად ვარ განწყობილი ივანიშვილის განცხადებების მიმართ, იმიტომ რომ ძალიან ჰგავს მისი სტილი, აი, კახა ბენდუქიძის გამოსვლებს ვინც იცნობს, მე, მაგალითად, ძალიან მომწონდა ის, რასაც ბენდუქიძე ამბობდა, მაგრამ, როდესაც ის მინისტრი იყო და შემდეგ — სახელმწიფო მრჩეველი, ამ ყველაფერმა მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოიტანა. ეტყობა, რუსეთში ასწავლეს ერთსაც და მეორესაც, ჩამოყალიბდა პოლიტიკოსების ასეთი კასტა, რომლებმაც იციან, რა უნდა ილაპარაკონ სწორად და შემდეგ როგორ უნდა აკეთონ ეს ყველაფერი უკუღმა.

***— ამ შემთხვევაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— დაგისახელებთ ორ მაგალითს. მე ძალიან მომეწონა, როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ ბანკის ვალების გამოსყიდვა მოხდებოდა სახელმწიფოს მიერ და ძალიან მომეწონა მისი ინიციატივა, როდესაც თქვა, რომ სახალხო დამცველის პოსტზე უნდა დაინიშნოს არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ საზოგადოების რჩეული. ჩვენ ვნახეთ, რომ ივანიშვილმა ორივე შემთხვევაში მიზანმიმართულად მოატყუა საზოგადოება. საზოგადოების აზრს სილა გააწნა და თავდაპირველად სახალხო დამცველად ისეთი კანდიდატურა წარმოადგინა, რომ საზოგადოებასთან კი არა, საკუთარ გუნდთანაც კი არ ჰყავდა შეთანხმებული, ხოლო ბანკის ვალებთან დაკავშირებით ჩვენ ვისმენთ ხიდაშელისა და წულუკიანის განცხადებებს, ამ ხალხს, ეტყობა, ხელშეკრულებებში არ ჩაუხედიავსო. მე მგონი, მათ თავად არ ჩაუხედავთ საკუთარი პარტიის საარჩევნო პროგრამაში. ამიტომ ეს მმატებს სკეპტიციზმს. კი, კარგია, რაც ივანიშვილმა სოფლის მეურნეობისა და ფონდების შესახებ ისაუბრა, მაგრამ მე მახსოვს მისი გამოსვლები წარსული თვეებიდან. მას ავიწყდება საკუთარი დანაპირები.

***— რაც შეეხება ირაკლი ალასანიას ჩანაცვლებას გიორგი მარგველაშვილით, ამის თაობაზე რას ფიქრობთ?***

— ესეც არაჯანსაღი მოვლენაა. მას უნდა აღმოსავლური ტიპის ავტოკრატიული მმართველობა და არა ევროპული ტიპის დემოკრატია. გიორგი მარგველაშვილი ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ არ არის პოლიტიკოსი. როცა ვიცე-პრემიერად ანუ მეორე პირად მთავრობაში ინიშნება არა პოლიტიკოსი და პოლიტიკური გუნდის წევრი, არამედ პრემიერის მეგობარი ფილოსოფოსი, ეს თავისთავად უარყოფითი მოვლენაა. სასაცილო იქნებოდა, მაგალითად, ბარაკ ობამას სახელმწიფო მდივნად დაენიშნა ადამიანი, რომელიც იტყოდა, არა, მე არა ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ინტელექტუალია, რომელიც პრემიერთან საღამოს საუბრობს ხოლმე ფილოსოფიაზე. ეს არასწორი, არადემოკრატიული მიდგომა და ავტოკრატიის სერიოზული ნიშნებია. ის, რასაც ივანიშვილი აკეთებს, არ არის ორიგინალური. ზუსტად ასე იქცეოდა 2004 წელს ბატონი სააკაშვილიც. ჩვენ გვახსოვს, რომ ის მთავრობიდან რეგულარულად ათავისუფლებდა მინისტრებს, მათი პოპულარობის ზრდის პროპორციულად და პარალელურად. ყველაზე პოპულარული თავიდან იყო ოქრუაშვილი და ოქრუაშვილი მოიშორა, შემდეგ იყო ბურჯანაძე უფრო პოპულარული და ბურჯანაძე მოიშორა. საბოლოო ჯამში, დაიტოვა წიკლაურები, მერაბიშვილები და აბსოლუტურად ულირსებო ადამიანები თავის გუნდში. ასევე იქცევა ივანიშვილიც და ამ ქვეყანაში მთავარი კრიტერიუმი და წინაპირობა იქნება ის, რამდენად შეძლებენ ისინი დუმილის შენარჩუნებას, განსხვავებული აზრის დამალვასა და დავიწყებას.

***— ბატონო კახა, გასაგებია, რომ ოპოზიციაში ხართ, მაგრამ დადებითი ვერაფერი ნახეთ ამ ასი დღის განმავლობაში?***

— არა, როგორ ვერ ვნახე, მე გითხარით, დადებითი რაც ვნახე, ეს არის სოფლის მეურნეობა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გაცხადებული ინიციატივები. შესრულებულ ინიციატივებს რაც შეეხება, ყველაზე დადებითი, რა თქმა უნდა, იყო პატიმრების ამნისტია და მე ამაზე არაერთხელ გადავუხადე მადლობა ეკა ბესელიას. ხაზგასმით უნდა ვთქვათ, ეს არ იყო მთავრობის ინიციატივა, ეს იყო ეკა ბესელიას ინიციატივა, რომელიც წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების, ე.წ. ძველი ოპოზიციის მიერ მიწოდებულ სიებს და მთავრობას, როგორც შეეძლო, წინააღმდეგობას უწევდა ამ ამნისტიას. ჩვენ ესეც კარგად გვახსოვს. რაც შეეხება საკუთრივ მთავრობის მიერ განხორციელებულ რომელიმე კონცეპტუალურ რეფორმას, მე ვერ ვხედავ. არის კონკრეტული საკითხები, რომლებიც შეიძლება, დადებითად შეფასდეს, მაგალითად, კახეთში სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, რა თქმა უნდა, უდავოდ დადებითი ფაქტია და ასეთი დადებითი ფაქტი შემიძლია სხვებიც მოგიყვანოთ, მაგრამ, იცით, რაშია საქმე? თუ ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყნის განვითარებაზე, აქ მთავარია, რეფორმების კუთხით რა კეთდება რომელიმე სფეროში და ეს არ კეთდება. კახეთში რაც კეთდება, სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს არ არის რეფორმა. ამის გამო კახეთი ხვალ უკეთესად არ იცხოვრებს და ამით კახეთში სოფლის მეურნეობის მოდელი არ შეიცვლება. ეს არის ლოკალური წარმატება, რომელიც სააკაშვილსაც ბევრი ჰქონდა, ხან გზას დააგებდა და ხან სასტუმროს ააშენებდა სადღაც. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სერიოზული რეფორმები, ისეთი, როგორიც არის, მაგალითად, სამართლებრივი რეფორმა, რომელიც არ ტარდებოდა სააკაშვილის დროს და არც ახლა გატარდება. ეს არის დამოუკიდებელი ინსტიტუტების შექმნა, ეს არის ეკონომიკური რეფორმა, ეს არის ინვესტიციების მოძებნა, ეს არის ბაზრების მოძიება, ეს არის სოციალური უზრუნველყოფის მოდელის შექმნა, ეს არის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მხარდაჭერა. აი, ამას ვერ ვხედავთ ჩვენ და ვერ ვხედავდით ვერც სააკაშვილის და ვერ ვხედავთ ვერც ივანიშვილის პირობებში, თორემ, საბავშვო ბაღებში რომ გადასახადი უნდა გაუქმდეს, ეს ძალიან კარგია. ჩემი შვილიც დადის ბაღში და, მოხარული ვარ, თუ გადასახადი შემიმცირდება. ეს ძალიან კარგია და დადებითად ვუყურებ, მაგრამ ეს ხომ არ არის ის კონკრეტული რეფორმა, რომელიც ქვეყანას შეცვლის. ივანიშვილმა ამაზე უნდა იფიქროს, ჩემი აზრით, რომ არ მოხდეს ის, რაც სააკაშვილს დაემართა. ძალიან ბევრი კოსმეტიკური რეფორმა ტარდებოდა სააკაშვილის მმართველობის პირველ თვეებში, რომელმაც საზოგადოების დიდი კმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ, ზუსტად იმის გამო, რომ ეს რეფორმები კოსმეტიკური იყო და არა ფუნდამენტური, რამდენიმე წლის შემდეგ ხალხმა აღმოაჩინა, რომ, პრინციპში, ისეთივე საქართველოში ცხოვრობს, როგორშიც — შევარდნაძის დროს.

***— რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, გუშინ პარლამენტში დაიწყო საგაზაფხულო სესია, გაიმართა დებატები, კვირის ბოლოს პრეზიდენტს ელიან პარლამენტში, იგეგმება საკონსტიტუციო ცვლილებები. ნაციონალები ზეწოლაზე საუბრობენ... თქვენ რას ფიქრობთ ამ პროცესებზე?***

— ნამდვილად არის დიდი ზეწოლა. ჩემი დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის მიმართ საყოველთაოდ ცნობილია. მე არ განვიხილავ მათ, როგორც პოლიტიკურ პარტიას. ჩემი აზრით, ეს არის კრიმინალური ბანდა, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაა. მე ვიტყვი, რომ ნაციონალებზე ნამდვილად არის პოლიტიკური ზეწოლა. წულუკიანი ასრულებს ივანიშვილის დავალებებს, იბარებს პროკურატურაში ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებს ან მათი ოჯახის წევრებს იმ მიზნით, რომ დააშანტაჟოს ისინი და ხმა მიაცემინოს საკონსტიტუციო პროექტისთვის. ეს არის 100%-ით დადასტურებული ფაქტები. ის, რომ თავის დროზე სააკაშვილი აკეთებდა ამას სხვების მიმართ, არ არის გამართლება, რომ სააკაშვილმაც იგივე უნდა აკეთოს.

***— რაც შეეხება სააკაშვილის ვიზიტს პარლამენტში, ამაზე რას ფიქრობთ?***

— ვიზიტს რაც შეეხება, რა ვიცი, ვნახოთ... სააკაშვილი თავის დროზე იყო ნიჭიერი პოლიტიკოსი, ბოლო პერიოდში მე რასაც ვუყურებ, ის აშკარად არ არის ფორმაში. ვნახოთ, თუ ჰეროინს თავს დაანებებს, შეიძლება, უფრო კარგი გამოსვლა ჰქონდეს.

***— აქვს იმის მორალური უფლება, რომ წარდგეს პარლამენტის წინაშე?***

— სააკაშვილსა და მორალზე საუბარი ძალიან რთულია, რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ სააკაშვილზე ვსაუბრობთ, მთლად მორალური კრიტერიუმებით არ განვიხილავთ მის მოქმედებებს. ეს არის რეკეტიორი, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოხვდა გარემხარდაჭერის შედეგად და ცდილობენ, ეს კრიმინალი როგორ იქნეს ნეიტრალიზებული და მორალი აქ არაფერ შუაშია. ეს ადამიანი მორალთან ძალიან შორსაა.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენად მწვავე დაპირისპირების ფონზე შეიძლება წარიმართოს მისი გამოსვლა?***

— ძალიან ბევრ შეურაცხყოფას მოვისმენთ და ასევე იქნება მისი დამცირებაც, მაგრამ, არა მგონია, ეს ყველაფერი ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდოს.

***— ბატონო კახა, ერთი პერიოდი აქტიურად მიდიოდა საუბარი ვადამდელ არჩევნებზე, თუმცა, სიტუაციიდან გამომდინარე, ეს არც ერთ ძალას არ უნდა აწყობდეს, არც ნაციონალებს, არც ოცნებას.***

— სრულად გეთანხმებით. ვადამდელი არჩევნები არის წარმატებული იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს პოლიტიკური სისტემა. საქართველოში, სადაც სრულიად გაუგებარი ვითარებაა, ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ „ქართული ოცნება“ უარს ამბობს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე, ანუ ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც, სხვათა შორის, ყველანაირად მხარს უჭერდნენ მათ მთელი ერთი წლის მანძილზე და სამაგიეროდ ისინი დიდი ხალისით თანამშრომლობენ ნაციონალურ მოძრაობასთან. ბუნებრივია, ამ ვითარებაში ვადამდელი არჩევნები არც ერთ მხარეს არ აწყობს, იმიტომ რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ვერ იქნებიან ერთი და იმავე პოლიტიკური სისტემის ნაწილი. ერთი წლის შემდგომ ან „ქართული ოცნება“ უნდა გაემგზავროს ისტორიის სანაგვეზე, ან ნაციონალური მოძრაობა. მათი კოაბიტაცია და თანაარსებობა, რაზეც საუბრობენ, სრულიად შეუძლებელია. ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც მხოლოდ არჩევნების გზით ვერ გადაწყდება. ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი იქნებოდა, მომხდარიყო ნაციონალური მოძრაობის გასამართლება. ჩვენ რომ გვყავდეს კვალიფიციური იუსტიციის მინისტრი, ეს პროცესი დღეის მდგომარეობით უკვე დასრულებული უნდა იყოს და ამის შემდგომ უნდა ჩატარებულიყო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ყოველგვარი დრამატიზმის გარეშე და პარლამენტში იქნებოდა ოპოზიცია და ხელისუფლება, რომლებსაც ერთმანეთში არ ექნებოდა ის ურთიერთმიმართება, რომელიც დღეს არსებობს ნაციონალურ მოძრაობასა და დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს შორის. ეს არის დემოკრატიის ანაბანა. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოში დემოკრატიის მშენებლობით ნამდვილად არ არის დაინტერესებული. მას სხვაგვარად წარმოუდგენია ქართული სახელმწიფო.

# „ბატონო ბიძინა, დაეხმარეთ ქესალოელებს!“

შორენა გონგლაძე

სამთვიანი პაუზის შემდეგ სახელმწიფო კანცელარიასთან სოფელ ქესალოს მოსახლეობამ აქცია გამართა. სოფლის მცხოვრებლები იმ მიწების დაბრუნებას ითხოვენ, რომლებიც, მათი თქმით, ეკონომიკის სამინისტრომ სრულიად უკანონოდ გაასხვისა, მიწების ამჟამინდელი მფლობელი კი, მათი თქმით, ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილია.

აქციას პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე უჭერს მხარს, ქესალოს მცხოვრებლების ინტერესებს კი პარტიის ადვოკატი ფრიდონ მაღრაძე იცავს. პარტიის ლიდერ გიორგი ლაღიძის განცხადებით, ქესალოს მოსახლეობას მიწა, რომელზეც დღეს დავა მიმდინარეობს, წლების მანძილზე იჯარით ჰქონდა აღებული და ამუშავებდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მიწები ეკონომიკის სამინისტრომ სრულიად უკანონოდ გაასხვისა.

**გიორგი ლაღიძე:**

— ეს მიწები ეკონომიკის სამინისტრომ სრულიად უკანონოდ გაასხვისა, თან იმ დროს, როდესაც მიწები უკვე მოხნული და დათესილიც ჰქონდათ. მესაკუთრე კი, აღმოჩნდა, რომ არის ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი. აქ ლაპარაკია ექვსას ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. სწორედ ამაში მდგომარეობს ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან კანონდარღვევა, რომ, თუ მათ სურდათ მიწის გაყიდვა, ამ შემთხვევაში მოიჯარეებს ენიჭებოდათ უპირატესობა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მოახდინეს კანონის სრული იგნორირება და მიწა შეასყიდეს ერთ პიროვნებას. აქ იკვეთება მაშინდელი ხელისუფლების ინტერესი. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ აქ არის კრიმინალი და ჩვენი მოთხოვნები ასევე შევიტანეთ ეკონომიკის სამინისტროში. თუ ჩვენს მოთხოვნებს რეაგირება არ მოჰყვება, გარწმუნებთ, მთელი სოფელი ჩამოვა აქ და გაცილებით დიდი და ხანგრძლივი აქციები გაიმართება. მოგეხსენებათ, ახლოვდება საგაზაფხულო სამუშაოები, საჭიროა მიწის დამუშავება, მაგრამ ამ ადამიანებს არ ეძლევათ ამის საშუალება. იმედია, ახალი ხელისუფლება დაინტერესდება ამ საკითხით და სამართლიანად გადაწყდება ამ ადამიანების პრობლემა, გლეხს დაუბრუნდება მიწა.

**ფრიდონ მაღრაძე, ადვოკატი:**

— ესენი არიან გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს მცხოვრებლები. მათ ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენს მიწა.



ისინი ამით არჩენენ საკუთარ ოჯახებს. 2005 წელს ამ ხალხს გამოართვეს ფული იმის გათვალისწინებით, ვის რა მოცულობის მიწის ნაკვეთს შეჰპირდნენ. ექვსი წლის განმავლობაში ამ ფულს სად ინახავდნენ, არ ვიცით, სახელმწიფო ანგარიშზე ეს ფული არ შესულა, მაგრამ 2011 წელს გლეხებს გამოუცხადეს, მიწა აღარ გეკუთვნითო და შეგროვებული ფულის დარიგება დაიწყეს. სულ შეგროვებული იყო 56 ათას ლარზე მეტი, ზოგს საერთოდ არ დაუბრუნეს ფული და ზოგს ძალიან ცოტა მისცეს. ამის შემდეგ ამ ადამიანებს გამოუცხადეს, რომ მიწა გაყიდული იყო. ჩვენი ინფორმაციით, ის 600 ჰექტარი მიწა, რომელსაც სოფლის მცხოვრებლები ამუშავებდნენ, დღესდღეობით ეკონომიკის სამინისტროს მიერ შ.პ.ს. „აგრომრეწვის“ სახელზეა გადაცემული. დათესილი მიწები, რომელიც გლეხობას დაუჯდა 200 ათასი ლარი, გადაუხნეს. ეს ზარალი არავინ აუნაზღაურა. მართალია, აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ესეც არ არის ბოლომდე მიყვანილი. თუ სააკაშვილის დროს არ იყო პოლიტიკური ნება, რომ საქმე ბოლომდე მისულიყო და ეს ყველაფერი გადაწყვეტილიყო კანონის ფარგლებში, იმედია, ახალი ხელისუფლება ამ საქმით დაინტერესდება. გაზაფხული მოდის, თუ ახლა არ დაამუშავა გლეხმა მიწა, მოსავალს ვერ მიიღებენ, ამიტომაც ეს საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებს.

**მოგამედ ისმაილოვი, სოფელ ქესალოს მცხოვრები:**

— ერთ დღეს მოვიდნენ და გვითხრეს, რომ ეს მიწა ჩვენი აღარ არის, ამ დროს უკვე დამუშავებული გვქონდა, მიწები წაგვართვეს და სოფელი მიწის გარეშე დარჩა. 5 წლის წინ გვითხრეს, რომ, ფულს თუ გადავიხდიდით, მიწა ჩვენი იქნებოდა, 5 წლის შემდეგ კი ფული უკან დაგვიბრუნეს და მიწაც არ მოგვცეს. ხალხი ჩვენს სოფელში ახლა ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობს, სამუშაო ადგილები ჩვენთან არ არის, არც ქალები მუშაობენ და არც კაცები, ოჯახი რითი უნდა ვარჩინოთ, შიმშილით ხომ არ დავიხოცებით, ჩვენ ვაჭრობა არ შეგვიძლია, მიწის დამუშავების გარდა, არაფერი ვიცით. ვითხოვთ, ერთ ოჯახს 2300 კვადრატული მეტრი მიწა მაინც მოგვცენ, რომ ოჯახი ვარჩინოთ. მიწა მოგვცენ, მეტი არ გვინდა არაფერი, მერე ჩვენს თავსაც მივხედავთ და ქალაქშიც ჩამოვიტანთ გასაყიდად. მე მგონი, ახალი ხელისუფლება ამ პრობლემას გადაგვიწყვეტს. ჩვენ ასე გვგონია, რადგან, როცა ბატონ ბიძინას უჭირდა და ჩვენი მხარდაჭერა უნდოდა, მის გვერდით ვიყავით და მას მივეცით ხმა, ახლა ჩვენ გვჭირდება მისი დახმარება. ბატონო ბიძინა, დაეხმარეთ ქესალოელებს.

**ნათელა მშვენიერაძე, ადამიანის უფლებათა დამცველი:**

— ერთ წელზე მეტია, ეს ადამიანები ითხოვენ, გამოიძიონ ის დანაშაული, რომელიც მათ წინაშე ჩაიდინეს. ერთი წლის წინ დათესილი მიწები გადაუხნეს, რომელიც ორასი ათას ლარზე მეტი დაუჯდათ. დატოვეს ულუკმაპუროდ და ზარალიც არავინ აუნაზღაურა. არჩევნებამდე, როდესაც ამ ადამიანებმა ღიად გამოუცხადეს მხარდაჭერა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მათზე ხდებოდა საშინელი ზეწოლა. ირღვეოდა ამ ადამიანების უფლებები, ემუქრებოდნენ დაჭერით, მაგრამ მათ ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს იმ იმედით, რომ მათი ყოფა გაუმჯობესდებოდა. ესენი არიან გლეხები და მიწაზე მუშაობით ირჩენენ თავს. მათ სხვა არაფერი შეუძლიათ. იმედია, ბატონი ბიძინა ივანიშვილი და ახალი ხელისუფლება დაინტერესდება ამ ფაქტით და ამ ადამიანებს სამართლიანობის აღდგენაში დაეხმარება.

# 2013 ექვთიმე თაყაიშვილის წელია

ეკა ირემაშვილი



„იუნესკომ“ 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა. ამის მიზეზი წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის დაბადებიდან 150 წლის იუბილე გახდა. ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წელს შეუერთდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საჯარო სკოლებს ორი სახის კონკურსის ჩატარება შესთავაზა: „რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ“ და ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიულ თემაზე შექმნილი ბლოგების კონკურსი.

როგორც სამინისტრო განმარტავს, კონკურსებში მონაწილეობის მიღება საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად. სამუშაოს შესასრულებლად მათ დაახლოებით 20 დღე ეძლევათ.

– თითოეული სკოლა სამინისტროს თითო გამარჯვებულ პროექტს და ბლოგს წარმოუდგენს. მათ სამინისტროში შექმნილი კომისია განიხილავს და 5-5 გამარჯვებულს გამოავლენს, რომლებიც დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან, – ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ექვთიმე თაყაიშვილი ხშირად იხსენებდა, რომ ბავშვობაში ცელქი იყო და ამის გამო მარჯვენა ფეხი მოუტეხია კიდეც. მთელი ცხოვრება ექვთიმე ღვთისკაცი ხელჯოხზე დაყრდნობით დადიოდა. პეტერბურგში მიღებული ცოდნით ის სამშობლოში დაბრუნდა და თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა. მოღვაწეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, აქვეყნებდა ძველ ხელნაწერთა აღწერილობებს გაზეთ „ივერიაში“. ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ერთად ეძებდნენ, კრებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდნენ და აბინავებდნენ მუზეუმში.

– საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე; შევიტყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და ვიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი, შემოწირულს აღარ ვჯერდებოდი. საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე. სხვადასხვა კუთხეში მიმოწერა გავაჩაღე, აგენტები გავიჩინე, – იხსენებდა ექვთიმე თაყაიშვილი.

მან შეისწავლა და გამოიკვლია „პარხლის სახარება“, რასაც მოჰყვა შატბერდული „მოქცევაი ქართლისაის“ ახლებური წაკითხვა და დათარიღება, გამოსცა „ახალი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“. უმნიშვნელოვანესი იყო მის მიერ აღმოჩენილი „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერი, რომელიც მან გაპარტახებულ სახლში იპოვა. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოიკვლია „აბდულმესიანის“, „თამარიანისს“, „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „როსტომიანის“, „ქილილა და დამანას“, „რუსუდანიანის“, „ომანიანის“, თეიმურაზ I-ის თხზულებათა, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური შენიშვნებისა და სხვათა მრავალთა ხელნაწერი. მის სახელს უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების აღმოჩენა. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო, როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით;, მთლიანობაში კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თავმოყრილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლის, რომელიც ვინმე კორინთელისაგან შეიძინა, ასევე მეფე გიორგი XI-ისათვის 1680 წელს მისი მდივნის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი გამოირჩევა თავისი მოხატულობით. ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა გადარჩენა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული.

ექვთიმე თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძეს განჯიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაში ეხმარებოდა. მისი რედაქტორობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული. მან სამგზის იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ ნაწილში, სადაც გამოიკვლია ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად არტაანის ოლქის ძეგლები და ოლთისის ოლქის ნაწილი, ასევე ექექის ტაძარი, სოხროთის ტაძარი, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები. ამ არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიცა პარიზში. ის იყო არქეოლოგიური ექსპედიციის ორგანიზატორი ლეჩხუმსა და სვანეთში, მონაწილეობდა ვანის აკროპოლისის გათხრებში. მან დააფუძნა ორი სამეცნიერო სერია „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“.

– საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემს თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს. რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი. არ იყო ხალხი, თითოოროლა კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო! რუსთველის გამზირზე სეირნობასა და პოპულარული სტატია-წიგნების კითხვას ან ლიტერატურულ კამათს იქით აღარ მიდიოდა მათი მონდომება. თითქოს გვყავდა ინტელიგენცია, მაგრამ ნამდვილად და ღრმად ვერავინ ხვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და ადგილობრივ შესწავლის აუცილებლობას! – აცხადებდა ექვთიმე თაყაიშვილი.

ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, ასევე მან ივანე ჯავახიშვილთან ერთად დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ის უნივერსიტეტის პირველი პროფესორი იყო და სამ სალექციო კურსს უძღვებოდა. ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველო დატოვა. ის თავდაპირველად დასახლდა პარიზში, შემდეგ ლევილში და დროგამოშვებით სწავლობდა ოქსფორდში. საფრანგეთში თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. განაგრძობდა სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. მისი აღიარების დასტური იყო ის, რომ იგი ჯერ პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო შემდეგ საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად აირჩიეს. გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძის ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილი. მასში შედიოდა თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა. მიუხედავად იმისა, რომ განძის მესაკუთრედ, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად, განძს ექვთიმე თაყაიშვილი მეურვეობდა. განძი, რომელიც სულ 39 ყუთს მოიცავდა, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცს მარსელის ბანკში ჰქონდა შენახული.

– თუმცა ჩემი მთავარი მოღვაწეობა პედაგოგობა იყო და ამას შევწირე ჩემი ცხოვრების 30 წელიწადი, იმავე დროს შეძლებისამებრ ვმუშაობდი საქართველოს ისტორია-არქეოლოგიაში, საზოგადოდ ქართული კულტურის ისტორიაში. აქ მიზნად დავისახე საბუთებისა და ძეგლების შეკრება, მათი მოწესრიგება, აღწერა-გამოქვეყნება და, რაც მთავარია, დაცვა, – იგონებდა ექვთიმე ღვთისკაცი.

ექვთიმე თაყაიშვილი 1945 წელს თბილისში დაბრუნდა. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად დაინიშნა, მიანიჭეს დამსახურებული პროფესორის წოდება, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, დაუმტკიცეს დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება. მას ჰყავდა მეუღლე, ივანე პოლტორაცკის ასული ნინო და ქალიშვილი. რეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა მის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. დიდი მეცნიერი 1953 წლის 21 თებერვალს უკიდურეს გაჭირვებაში გარდაიცვალა. მის დაკრძალვას ვაკის სასაფლაოზე მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი დაესწრო. ამჟამად იგი გადასვენებულია საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი განთავსებულია მის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილას, თბილისში, ვაშლოვანის ქუჩის 7 ნომერში და აგრეთვე მისი მუზეუმია აშენებული თაყაიშვილის მშობლიურ სოფელში, ლიხაურში, სადაც ყოველი წლის 16 იანვარს „ექვთიმეობას“ აღნიშნავენ. ექვთიმე თაყაიშვილის სახელს ატარებს გურიანთა-ვაშნარის მუზეუმ-ნაკრძალი გურიაში. თბილისში აგებულია ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ეკლესია. 2013 წელი კი იუნესკოს ეგიდით ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოცხადდა.

## სამწუთიანი ფილმების ფესტივალის გამარჯვებულები ცნობილია

ეკა ირემაშვილი

ევროკავშირის სამწუთიანი ფილმების ფესტივალის გამარჯვებულები ცნობილია. მათი ავტორები მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვეს. წლევანდელი ფესტივალის თემად მისმა ორგანიზატორებმა შეარჩიეს „ევროკავშირი ჩემს მეზობლად“. ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ორგანიზებული ფესტივალი შარშან 12 ოქტომბერს გაიხსნა. მან საშუალება მისცა 14-დან 25 წლამდე ქართველ ახალგაზრდებს, მობილური ტელეფონის საშუალებით გადაეღოთ სამწუთიანი ფილმები და საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საკუთარი ხედვა წარმოედგინათ.

ევროკავშირის სამწუთიანი ფილმების ფესტივალი წარმოადგენს მობილური ტელეფონებით წარმართულ კონკურსს, რომელიც გამიზნულია ქართველი ახალგაზრდებისთვის და საშუალებას აძლევს მათ მოკლე, მაქსიმუმ 3-წუთიანი ფილმების გადაღებისას მობილური ტელეფონებით. ვიდეოკლიპები იტვირთება კონკურსის ვებპორტალზე, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებგვერდთან. პრიზები პირველ სამ საუკეთესო ფილმს ენიჭება. ყველაზე მეტი ხმის მქონე 10 ვიდეოფილმი გადატანილ იქნა „10 საუკეთესო ფინალისტის“ გალერეაში. 3 წევრისგან შემდგარმა ჟიურიმ 3 გამარჯვებული გამოაცხადა დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა. ამავე დროს, გამარჯვებულები გამოცხადდნენ ფესტივალის ინტერნეტ-პლატფორმაზე. თითოეულ კონკურსანტს მხოლოდ ერთი ფილმის წარდგენის საშუალება მიეცა. მიიღებოდა ასევე ჯგუფური ნამუშევრები, თუმცა, ის განიხილებოდა, როგორც ერთი საკონკურსო განაცხადი. კონკურსში მონაწილეობით კანდიდატებმა დაადასტურეს,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ლეანდრო რამოსს საქართველოში ბელორუსი გოგოები და ლუდი აკლია

ლეანდრო დოს სანტოს რამოსი გორის „დილას“ ბრაზილიელი ლეგიონერია, რომელიც მანამდე ბელორუსიაში, კერძოდ კი მინსკის „დინამოში“ თამაშობდა. ზამთრის პაუზისას გუნდების დიდი ნაწილი თურქეთში გადის შეკრებას. მათ შორის არის გორის „დილაც“ და რამოსი ბელეკში ბელორუსმა ჟურნალისტმა იცნო, რომელმაც ფეხბურთელთან საუბრის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

რამოსთან ინტერვიუს მცირე შემოკლებით, ჩვენთვის უფრო საინტერესო თემებით შემოგთავაზებთ.

*— თავს როგორ გრძნობთ?*

— ყველაფერი კარგადაა. იმედია, მომავალშიც ასე იქნება. უკვე ერთი კვირაა, ჩვენი გუნდი თურქეთში ვარჯიშობს. ყოველდღე დავრბივართ. ბევრს ვვარჯიშობთ ფიზიკურად. მთავარმა მწვრთნელმა მაშინვე გვითხრა — თურქეთში გატარებული ორი კვირის შემდეგ მთელი წელი ფიზიკურად მზად იქნებითო. ამიტომ ვვარჯიშობთ, ვვარჯიშობთ და ვვარჯიშობთ.

*— მინსკის „დინამოსთან“ განშორების შემდეგ რას აკეთებდით?*

— ბრაზილიაში წავედი და ორი თვე დავისვენე. ახლობლებიც არ მყავდა ნანახი 2 წლის მანძილზე.

*— ეს როგორ?*

— ჩვეულებრივ — 2 წელი ვიჯექი ბელორუსში და ბრაზილიაში არ ვყოფილვარ.

*— იქ აპირებდით კარიერის გაგრძელებას?*

— მქონდა წინადადება, მაგრამ „დინამოდან“ წასვლის შემდეგ ხალისი თითქმის არ მქონდა. ერთი პერიოდი მწვრთნელობის დაწყებაც გადავწყვიტე.

*— ფეხბურთში როგორ დაბრუნდით?*

— ორი თვის გასვლის შემდეგ აგენტს შევატყობინე, რომ კარიერის გაგრძელება მსურდა. მან ცოტა წაიმუშავა და „დილას“ ვარიანტი გამოძებნა. უფრო დიდი ხელფასი შემომთავაზეს, ვიდრე „დინამოში“ მქონდა. ამასთანავე, საქართველო ბელორუსისგან შორს არაა. სურვილის შემთხვევაში, ჩემს მეგობრებს ჩამოსვლა შეუძლიათ. კონტრაქტი ერთი წლით გავაფორმე. ის ძალაში 1 ივნისამდეა. არ ვიცი, შემდეგ რა იქნება. შესაძლოა, „დილასთან“ თანამშრომლობა გავაგრძელო, შესაძლოა — არა.

*— რა იცოდით საქართველოს შესახებ ამ ქვეყანაში გადასვლამდე?*

— მხოლოდ ის, რომ საქართველოში ტექნიკური ფეხბურთელები არიან. სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყანაში ბრაზილიელების მიმართ კარგი დამოკიდებულება ჰქონიათ, თუ ისინი ნორმალურად იქცევიან. ეს მომწონს.

*— რას იტყვით ქართული ფეხბურთის შესახებ?*

— ჩემი აზრით, ქართველებს ფეხბურთის მიმართ ბელორუსებზე უკეთესი დამოკიდებულება აქვთ. ტრიბუნებზე უფრო მეტი ხალხია. თამაშს საპატიო ყურადღება ექცევა. მოთამაშეთა კვალიფიკაციის მხრივ საქართველო ბელორუსს ჩამორჩება. თუმცა, ქართული სტილი უფრო მომწონს. ის ბრაზილიურს ჰგავს. ყველაფერი მშვიდ ტემპში ხდება, შეიძლება ითქვას — ნელ ტემპში. შესაძლებელია, ბურთი მიიღო და მოიფიქრო, შემდეგ რა გააკეთო. ბელორუსში უფრო სწრაფი რეაგირებაა საჭირო, რადგან იქ ძალიან კონტაქტურად და ათლეტურად თამაშობენ.

*— რომელი ჩემპიონატია უფრო ძლიერი?*

— აი, ეს არ ვიცი... ვფიქრობ, უფრო — ბელორუსისა. თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ.

*— საქართველოში კარგ ფეხბურთელად მიგიჩნევენ?*

— პრინციპში, ასეა. მატჩების მსვლელობისას მწვრთნელს არც ერთხელ არ შევუცვლივარ. თუმცა, ერთი შემთხვევა მოხდა, რის გამოც ცოტა ხანი თამაშისგან დასვენება მომიწია.

*— მოგვიყევით.*

— თბილისის „დინამოს“ ვხვდებოდით. ჩვენთვის ეს დერბი იყო. გამარჯვებული სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე პოზიციას იმყარებდა. თუმცა, 0:3 წავაგეთ. ერთ ეპიზოდში მეტოქის მცველი ორთაბრძოლაში შემოვიდა და იდაყვი თავში ჩამარტყა. წარმოგიდგენიათ? პირდაპირ თავში. მადლობა ღმერთს, საფეთქელში არ მომხვდა. ძალიან გავბრაზდი და მას შევაფურთხე. შემდეგ ჩხუბი დაიწყო.

*— დისკვალიფიკაცია მოგცეს?*

— დიახ. ერთი თვე არ მითამაშია.

*— რატომ იფურთხებოდით?*

— გაბრაზებული ვიყავი. თავს ველარ ვაკონტროლებდი. ეს ცუდია. ძალიან მნიშვნელოვანი თამაში იყო. პლუს ამას, კარგ პრემიებსაც შეგვპირდნენ.

*— და როგორი პრემიებია „დილაში“?*

— უფრო მეტი, ვიდრე მინსკის „დინამოში“.

*— რა თანხას იღებდით „დინამოში“ პრემიის სახით?*

— „დინამოში“ 1.000 დოლარს ვიღებდი.

*— „დილაში“?*

— 1.500-1.600-ს მაძლევენ.

*— თქვენი მეგობარი გოგო როგორაა? ის ხომ ბელორუსია.*

— ეს დრამატული ისტორიაა. ბრაზილიაში წავედი. ცოტა ვიჩხუბეთ. მოკლედ, დავშორდით. 4-5 თვის განმავლობაში ურთიერთობა არ გვქონია. თუმცა, საქართველოში ჩემი გადასვლის შემდეგ ისევ შევრიგდით. როდესაც თურქეთში შეკრება დასრულდება, ის თბილისში ჩამოსვლას აპირებს. შესაძლოა, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დავქორწინდეთ კიდეც.

*— ე.ი. თბილისში ცხოვრობთ?*

— ჩვენი გუნდი გორიდან არის და „დილა“ ჰქვია. თუმცა, თბილისში ვვარჯიშობთ და იქ ვცხოვრობთ. გორში მეტოქეებს ვმასპინძლობთ.

*— მოგწონთ საქართველოში ცხოვრება?*

— ბევრი ძველი შენობაა, თითქმის დანგრეულებიც კი. თუმცა, ხალხი ყველგან ძალიან კეთილია. რუსულად ყველა ლაპარაკობს. ბელორუსში რუსული ტყუილუბრალოდ არ მისწავლია. საქართველოში ცხოვრება მომწონს.

*— სად უფრო ძვირია ბინის ქირა — ბელორუსში თუ საქართველოში?*

— ბელორუსში. მინსკში ბინაში 700 დოლარს ვიხდიდი, თბილისში — 650-ს.

*— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს საქართველოში?*

— თბილისი ჯერ კარგად არ შემისწავლია. თუმცა, ერთი საინტერესო კაფე ვიპოვე.

*— რა გაკლიათ საქართველოში ბელორუსული?*

— გოგოები...

*— გასაგებია, კიდევ?*

— ლუდი... ბელორუსში ის კარგია, საქართველოში იშვიათად ვსვამ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლუქსემბურგი-სომხეთი | 1:1 |
| სენეგალი-გვინეა | 1:1 |
| ამხანაგური მატჩები | (21) |
| ბელგია-ესპანეთი | 1:1 |
| ინგლისი-შვედეთი | 4:0 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| გენგამი-ანჟე | 2:1 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-ატლანტა | 114:103 |
| ბრუკლინი-ლეიკერსი | 83:92 |
| მემფისი-ფინიქსი | 90:96 |
| ჰიუსტონი-გოლდენ სტეიტი | 140:109 |
| დენვერი-მილუოკი | 112:104 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ტორონტო | 2:3 |
| კოლამბუსი-ლოს ანჯელესი | 2:4 |
| ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 3:1 |
| აილენდერსი-პიტსბურგი | 2:4 |
| დეტროიტი-კალგარი | 1:4 |
| ოტავა-ბუფალო | 4:3 |
| ფილადელფია-ტამპა ბეი | 2:1 |
| ვინიპეგი-ფლორიდა | 3:2 |
| სენტ ლუისი-ნეშვილი | 1:6 |
| სან ხოსე-ჩიკაგო | 3:5 |

# პორტუგალიასთან ახალი კაპიტნით

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 9 თებერვალს ერთა თასზე პორტუგალიელებთან გასამართი მატჩისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი ჩვენებმა ბრიუსელში დებიუტანტ ბელგიას მოუგეს — 17:13. ორიოდე დღეა, „ბორჯღალოსნები“ თბილისში, „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე შეიკრიბნენ და მომდევნო მატჩისთვის მზადებას შეუდგნენ.

მილტონ ჰეიგის წინასწარ 29-კაციან რაზმში ორი ცვლილებაა. დავით ზირაქაშვილმა დისკვალიფიცირებული დავით ქუბრიაშვილი შეცვალა. ქუბრიაშვილმა კი 10-დღიანი დისკვალიფიკაცია ბრიუსელში ატეხილი ჩხუბის დროს მიღებული წითელი ბარათის გამო მიიღო. ჰეიგმა გამარჯვების ლელოს ავტორი ლევან ჩილაჩავაც შეცვალა — მას ირაკლი მირცხულავა ჩაანაცვლებს.

მთავარი ცვლილება კი ის არის, რომ გუნდს ახალი კაპიტანი ეყოლება — ირაკლი მაჩხანელი. გემახსოვრებათ, ბელგიელებთან გუნდს გიორგი ჩხაიძე ყოჩობდა, მაგრამ მაშინ მაჩხანელს არ უთამაშია და, როგორც ირკვევა, პორტუგალიელებთან გუნდს სწორედ ირაკლი გაიყვანს მოედანზე.

საქართველოს ნაკრების ღია ვარჯიშებიდან გამომდინარე, „ბორჯღალოსანთა“ სასტარტო შემადგენლობაში ორი ცვლილება იქნება. ქუბრიაშვილის ამბავი გასაგებია, მეორე კი უკანა ხაზში მაჩხანელის დაბრუნება იქნება, რომელიც ალექსანდრე თოდუას შეცვლის.

სავარაუდოდ, ჩვენები მოედანზე ამ შემადგენლობით უნდა გავიდნენ:

15. ბექა წიკლაური, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბეგაძე; 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

რაც შეეხება ვარჯიშს: ჰეიგმა გუნდი ორ ნაწილად გაყო და მორიგეობით ავარჯიშა დერეფნიდან ბურთის ხაზზე გაშლაში, შესაძლო წარმოქმნილი რაქიდან ბურთის ორ თვლაში გამოტანაზე და შედეგად — სწრაფ იერიშზე. ზემოთ ნახსენებ კომბინაციაზე რამდენიმე წუთის მუშაობის შემდეგ მორაგბეები ფიზმომზადების მწვრთნელმა რეაქციაზე ამუშავა.

ამას ორმხრივი თამაში მოჰყვა. ორმხრივ თამაშში გუნდმა სწრაფი კონტრშეტევის წამოწყებასა თუ შეჩერებაზეც იმუშავა. ამას მოჰყვა რაქის სწრაფად და ორგანიზებულად გაწმენდაზე, მოლის დაყენებასა და მეტოქის მოლში ბურთის მოპოვებაზე ჩატარებული სავარჯიშოები, ბოლოს კი, კარში დარტყმებზე მერაბ კვირიკაშვილმა, ირაკლი ყიასაშვილმა და ბექა წიკლაურმა წაივარჯიშეს.



ვარჯიშის შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ბელგიასთან განვლილი მატჩი შეაფასა და მომავალ დაპირისპირებაზე ისაუბრა. ვარჯიშიდანაც ჩანდა და მწვრთნელმაც დაადასტურა, რომ „ბორჯღალოსნები“ აღებულ გეზს არ გადაუხვევენ, თამაშს გაშლიან და გამარჯვების მოპოვებას სწორედ ასე შეეცდებიან.

მილტონ ჰეიგი:

— შესაძლოა, საკუთარი თავისგან მეტს მოველოდით, მაგრამ, არა მგონია, მიზეზი შეუფასებლობა იყოს. ჩასვლისას ბიჭები გაკვირვებული დარჩნენ, როცა ბელგიელებში კარგ ფრანგულ გუნდებში მოთამაშე არაერთი მორაგბე აღმოაჩინეს. ამას დაემატა ცუდი ამინდი და უვარგისი მოედანი. შედეგად, თამაში გაგვიჭირდა და მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ მაინც გავიმარჯვეთ. რაც შეეხება პორტუგალიის ნაკრებთან მატჩს, მას ახალზელანდიელი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც კარგად აზროვნებს. ამიტომ მეტოქისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ და თავის დასაცავად მოვემზადოთ. შეტევაში ახალს არაფერს გავაკეთებთ. კვლავაც ვეცდებით, თამაში გავშალოთ. მთავარია, ამინდმა და პირობებმა ხელი შეგვიწყოს.

პორტუგალიასთან რთულ მატჩს ელიან საქართველოს ნაკრების უკანახაზელი დავით კაჭარავა და შერკინების მესამეხაზელი ვიტო კოლელიშვილი.

დავით კაჭარავა:

— პორტუგალია ჩვენთვის, ტრადიციულად, რთული მეტოქე იყო და მით უმეტეს ახლა უფრო ძნელი მატჩი გველის, რადგან ეს შეხვედრა მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის ეგიდით ტარდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ პორტუგალიამ შინ რუმინეთთან წააგო, ორმაგად მოტივირებული დაგვიპირისპირდება, ამიტომ მაქსიმალურად კონცენტრირებულება უნდა ვითამაშოთ და მორიგი გამარჯვება მოვიპოვოთ.

ვიქტორ კოლელიშვილი:

— ბელგიასთან თამაში არ გამოგვივიდა, იმედია, პორტუგალიასთან შეცდომებს შევამცირებთ და გამარჯვებას მოვიპოვებთ. ძალიან გვინდა, სტადიონზე გულშემატკივარი მოვიდეს და აქტიურად გვიქომაგოს.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სრული შემადგენლობა:

შერკინება: დავით ზირაქაშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი (ორივე კლერმონი, საფრანგეთი), ირაკლი მირცხულავა, გიორგი ჩხაიძე (ორივე ტარბი, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე, საფრანგეთი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი, ლაშა ლომიძე, მამუკა გორგოძე (ყველა მონპელიე, საფრანგეთი), რეზო ბელქანია (ლელო), შალვა მამუკაშვილი, ბექა ბიწაძე (ორივე არმია), ვახტანგ მაისურაძე (ალბი, საფრანგეთი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი, საფრანგეთი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი, შოტლანდია), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი);

უკანა ხაზი: გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), მერაბ კვირიკაშვილი (სენ-ჟუნიენი, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე, ირაკლი ყიასაშვილი (ორივე ლელო), მერაბ შარიქაძე (ჰართლპული, ინგლისი), დავით კაჭარავა (როდეზი, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი, საფრანგეთი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი, საფრანგეთი), გიორგი ფრუიძე (აია), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი).

# ევროპოლი ჩაწყობილ მატჩებს იძიებს

ევროკავშირის პოლიციის სამსახურის გამოძიების მონაცემებით, რომელიც წელიწად-ნახევარი გაგრძელდა, ბოლო პერიოდში 380 „ჩაწყობილი“ მატჩი გაიმართა, რომელთა შესახებ 420-მა ფეხბურთელმა და 15 ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა იცოდნენ.

აღსანიშნავია, რომ გარიგებული თამაშების ჩამონათვალში ჩემპიონთა ლიგის ორი შეხვედრა, ასევე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ციკლებში გამართული მატჩები მოხვდა. ევროპოლის ხელმძღვანელ რობ უეინრაიტის თქმით, მატჩები ასეთ დონეზეც „ეწყობა“ და მათი რაოდენობა სავარაუდოზე მეტი აღმოჩნდა.

ევროპოლის მონაცემებით, გარიგებული მატჩებიდან უკანონოდ მიღებული თანხების ბრუნვამ 16 მილიონი ევრო შეადგინა.

გაზეთმა „ბილდმა“ კი 380 მანიპულირებული მატჩიდან ხუთი შეხვედრა დააკონკრეტა. სკანდალის ერთ-ერთი უმთავრესი გმირი კი სინგაპურელი ენგ ტან სეტი, მეტსახელად „დან ტანი“ უნდა იყოს. თავის ქვეყანაში მას „ნათლიასაც“ უწოდებენ.

„დან ტანი“ აზიური ბუკმეკერმაფიის ერთ-ერთი მთავარი ბოსია. ცნობილია, რომ ის 2011 წელს იტალიაში გახმაურებულ სკანდალშიც მონაწილეობდა, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წინ კი სამხრეთ აფრიკის ნაკრების ამხანაგურ მატჩებს აწყობდა.

ევროპული მედიის ცნობით, „დან ტანს“ ინტერპოლიც ეძებს, მაგრამ მისი დაკავება ვერაფრით ხერხდება. როგორც ჩანს, სინგაპურში მას სერიოზული მფარველები ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ინტერპოლმა „დან ტანის“ კვალი 2011 წლის ბოლოს დაკარგა.

2011 წლის 22 მაისს მას „ლაციოსა“ და „ლეჩეს“ მატჩის მანიპულირება ედება ბრალად. როგორც ირკვევა, სწორედ მან ჩააწყო ეს მატჩი და ერთ-ერთ ტოტალიზატორში 2 მილიონი ევრო დადო იმაზე, რომ ამ შეხვედრაში 4-ზე მეტი გოლი გავიდოდა. თამაში 4:2 დამთავრდა და „დან ტანმა“ 3-მილიონიანი მოგება მიიღო.

ევროპოლის ცნობები მთელ მსოფლიოს ძალიან სწრაფად მოედო, თუმცა, რადგან ინფორმაცია ოფიციალურად ევროპოლმა გააჟღერა, საუბარი მხოლოდ ჩვენი კონტინენტის პრობლემატიკაზე იყო. თუმცა ევროპოლის ხელმძღვანელებმა ისიც დასძინეს, რომ თუკი ევროპაში 2008-დან 2011 წლამდე 380 მატჩია მანიპულირებული, აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში მინიმუმ საეჭვოა კიდევ 300-ზე მეტი შეხვედრა. მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ევროპოლის რიცხვებს.

1. 380 მანიპულირებული მატჩი 2008-იდან 2011 წლამდე
2. კიდევ 300-ზე მეტი საეჭვო შეხვედრა მთელი მსოფლიოს მასშტაბით
3. 425 ეჭვმიტანილი ფეხბურთელი, ფუნქციონერი, მსაჯი და სხვა კრიმინალი
3. 8 მილიონი ევროს ოდენობის ოფიციალური მოგება
4. 2 მილიონი ევროს ოდენობის მოსასყიდი ფული

ჯერჯერობით „ბილდმა“ 380-დან მხოლოდ 5 მატჩი დაასახელა:

სტაბეკი-ტირანა 4:0 (უეფას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი)

ფენერბახჩე-ჰონვედი 5:1 (ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი)

ვლაჟნია-რაპიდი 0:3 (ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი)

რაპიდი-ვლაჟნია 5:0 (ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი)

ლუბლიანა-მეტალურგი(დ) 0:3 (ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი)

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# საქართველოსა და ირანს შორის თეატრალური თანამშრომლობა იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის თეატრალური თანამშრომლობა იწყება. თეატრის სფეროში თანამშრომლობის წინასწარი შეთანხმება უკვე გაფორმებულია. ირანის საელჩოს ცნობით, შეთანხმებას ხელი თეირანში მიმდინარე „ფაჯრის" საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე უკვე მოეწერა.



ფესტივალს ესწრებოდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საშემსრულებლო ხელოვნების დეპარტამენტის დირექტორი ყადერ აშნა, ასევე დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა ხელმძღვანელი ალი აქბარ თარხანი, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე.

თანამშრომლობის დოკუმენტი არაერთ პუნქტს მოიცავს და ითვალისწინებს ირანსა და საქართველოში თეატრალური დასების მიწვევას, მსახიობთა და სცენარისტთა გაცვლას, სპეციალური მასტერკლასების გამართვასა და თეატრალურ ღონისძიებებში მონაწილეობას.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორმა და მარჯანიშვილის თეატრის მმართველმა ეკატერინე მაზმიშვილმა შეხვედრაზე თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას. მისი თქმით, ორი ქვეყნის სიახლოვიდან გამომდინარე, კულტურული კავშირების გაღრმავება აუცილებელია.

საქართველოსთან კულტურული კავშირების გაღრმავებას მიესალმება ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საშემსრულებლო ხელოვნების დეპარტამენტის დირექტორი ყადერ აშნაც.

— ორმხრივი თანამშრომლობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საერთაშორისო ფესტივალებით და საჭიროა ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარება. უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები ირანში — ქართული თეატრისა და საქართველოში ირანული თეატრის პოპულარიზაციისთვის, — განაცხადა ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საშემსრულებლო ხელოვნების დეპარტამენტის დირექტორმა ყადერ აშნამ.

საქართველოსა და ირანს შორის თეატრალური თანამშრომლობა დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ უახლოეს ხანში ამოქმედდება.

# სამწუთიანი ფილმების ფესტივალის გამარჯვებულები ცნობილია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რომ ფლობენ ყველა საავტორო უფლებას ვიდეოფილმზე.

კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენდნენ ნამუშევრებს და მათზე არ ჰქონდათ საავტორო უფლება, გამოეთიშნენ კონკურსს. განიხილებოდა მხოლოდ ის ფილმები, რომლებიც პასუხობდნენ თემას „ევროკავშირი ჩემს მეზობლად". ფილმები უნდა ყოფილიყო ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე ან საერთოდ დიალოგის გარეშე. დაჯილდოების ცერემონიალზე ნაჩვენები იქნა 10 საუკეთესო ვიდეოფილმი. ჟიურიმ მათგან სამი საუკეთესო გამოარჩია და გამარჯვებულებს პრიზები გადასცა. ამასთანავე, ჟიურის წევრებს, ევროკავშირისა და „ექშენ გლობალ კომუნიქეიშენის" თანამშრომლებს აეკრძალათ კონკურსში მონაწილეობა. ევროკავშირმა დაიტოვა უფლება, გამოიყენოს წარდგენილი ფილმები საპრეზენტაციო მასალებში და მედიაში, ასევე გამოიყენოს ნებისმიერი ფორმით საქართველოში ევროკავშირის სამწუთიანი ფილმების ფესტივალის და პროექტის „გავიცნოთ ევროპა" პოპულარიზაციისთვის.

წლევანდელ კონკურსში მონაწილეობა 15-მა ფილმმა მიიღო. აქედან ათი ფილმი ფეისბუქის გვერდის მეშვეობით მაყურებელმა შეარჩია, საუკეთესო სამეული კი კინოპროფესიონალებისაგან შემდგარმა ჟიურიმ დაასახელა. დაჯილდოების ცერემონიალზე ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ბორის იაროშევიჩმა თავის მისალოც სიტყვაში აღნიშნა:

— მხოლოდ სამი ფილმის დაჯილდოების მიუხედავად, ფესტივალის ინიციატორები 15-ვე ფილმს გამოიყენებენ, რათა ევროპას აჩვენონ, როგორ ხედავენ ქართველი ახალგაზრდები ევროკავშირს. მე საკმაოდ მოხიბლული ვარ ზოგიერთი ამ ფილმის ხარისხითა და კრეატიულობით. ჩვენ ამ ფილმებს აუცილებლად გამოვიყენებთ მუშაობისას ევროპაში, რათა ვაჩვენოთ, თუ როგორია ევროკავშირისა და საქართველოს პარტნიორობის გავლენა ადამიანების ყოველდღიურობაზე. ძალიან მალე 2013 წლის ფესტივალი გამოცხადდება. ეს წელი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ურთიერთობისათვის, რადგან ჩვენს პარტნიორობაში სერიოზულ პროგრესირებას ვგეგმავთ.

ევროკავშირის სამწუთიანი ფილმების საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილის მფლობელი გახდა ლაშა მესხი ფილმით „ძალა ერთობაშია". ამ ფილმის მთავარი გმირები „ქინდერის" სათამაშოები არიან, უმეტესად — „ბეჰემოთების სერიიდან". ისინი დარდიმანდული ქართული სიმღერის ფონზე ევროკავშირის დროშას აღმართავენ. ფესტივალის გამარჯვებულმა აიფონ 4 მოიგო.

მეორე ადგილის მფლობელი ნინი ბეჟანიძის „ემანსიპაცია" დასახელდა. მისი ნამუშევარი ქალთა პრობლემებზეა. ფილმის მთავარი გმირი ქართველი ბებოა, რომელიც ძველ და ახალ დროებასა და ქალების ცხოვრების წესს ერთმანეთს ადარებს. მეორეადგილოსანს ციფრული ფოტოაპარატი ერგო.

მესამე ადგილზე კი გავიდა თეკლე კვარაცხელიას ფილმი „მეზობლები". მასში ავტორმა გადაწყვიტა, გამოიკვლიოს საკმაოდ აქტუალური კითხვა, რას ნიშნავს, იყო ევროკავშირის მეზობელი. მან ფესტივალის ორგანიზატორებისგან მობილური ტელეფონი „სამსუნგ გალა" დაიმსახურა.

დაჯილდოების ცერემონიალზე განსაკუთრებული მადლობით აღინიშნა სოფია გურცაძის ფილმი. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალი დასრულდა და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ, არც ერთი საპრიზო ადგილის მფლობელი ფილმის ავტორი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში არ იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, გამარჯვებულთა პრიზები მათ წარმომადგენლებს გადაეცათ.

— 2013 წელს საქართველო და ევროკავშირი კიდევ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. მინდა, მოვუწოდო ქართველ ახალგაზრდებს, კიდევ მიიღონ მონაწილეობა მომდევნო წლის ფესტივალშიც. მის გამოცხადებას ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში სულ მალე გეგმავს. მანამდე კი ფესტივალით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, კონკურსში მონაწილე ყველა ფილმი ფესტივალის ვებგვერდზე იხილოს და შეაფასოს, — განაცხადა ბორის იაროშევიჩმა.

# ქართული კინო ბერლინალეს კინოფესტივალზეა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რას, რომელმაც მასპინძლობა გაგვიწია ოქტომბერში. ქართული კინოს დიდი ტრადიციის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო არის ევროპის ის ნაწილი, სადაც უნდა აღმოვაჩინოთ ნიჭიერი რეჟისორები და საინტერესო კინოპროდუქცია. მოუთმენლად ველით 63-ე ბერლინალეს, რომელსაც დაამშვენებს ქართული კინოს ხიბლი. მთელი გულით ვამბობ: „გაუმარჯოს ქართულ კინოს!" — აცხადებს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის დელეგატი ნიკოლაი ნიკიტინი.

„ჩემი საბნის ნაკეცი" ეროვნული კინოცენტრის 2011 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. ფილმის მოქმედება ახლო მომავალში პატარა ქართულ ქალაქში ვითარდება. უცხოეთში სწავლის დასრულების შემდეგ დიმიტრი სამშობლოში ბრუნდება და სასამართლოში იწყებს მუშაობას. სამსახურის ერთფეროვან დღეებს მისი გატაცება, კლდეზე ცოცვა, ცვლის. მთის წვერიდან მის წინ ბუნების ულამაზესი ხედი იშლება და დიმიტრი მშობლიური ქალაქის კლაუსტროფობიისგან გათავისუფლებას ცდილობს. ასეთია ფილმის მოკლე სიუჟეტური ხაზი, თუმცა ახალგაზრდა რეჟისორის ნამუშევარი მაყურებელს უჩვეულო კინოთხრობასა და ბევრ დამაინტრიგებელ სიურპრიზს სთავაზობს. ფილმში მონაწილეობენ თორნიკე ბზიავა, თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ნაკაშიძე, ავთანდილ მახარაძე, ზურა ყიფშიძე, ლუდმილა მღებრიშვილი-არტიომოვა, მარინა ჯანაშია, მაკა მახარაძე, დარეჯან ხარშილაძე, შოთა ქრისტესაშვილი, აკაკი ხიდაშელი, გიორგი გიორგანაშვილი. ახალგაზრდა და გამოცდილი მსახიობების ეს ჯგუფი ეკრანზე საინტერესო კინოსახეებს ქმნის.

რაც შეეხება ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმს „გრძელი ნათელი დღეები", ის ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციაა. ფილმს სუბსიდირება გაუწია საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა. ფილმის კოპროდიუსერები არიან გერმანიისა და საფრანგეთის ტელეარხები „ზიდიეფი" და „არტე". ფილმი ასევე დააფინანსეს გერმანიისა და საფრანგეთის კულტურის სამინისტროების სახელმწიფო ფონდებმა. ფილმის ოპერატორია ცნობილი რუმინელი ოპერატორი ოლეგ მუტუ, რომლის ნამუშევრებს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვება აქვს მოპოვებული. ესენია „ბორცვებს მიღმა" — კრისტიან მუნჯიუ, „ჩემი ბედნიერება" — სერგეი ლოზნიცა. ფილმის მოქმედება 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და ფილმის მთავარი პერსონაჟები ორი თოთხმეტი წლის გოგონა — ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სახლს, სკოლას, ქუჩასა და პურის რიგს არ სცდება. ისინი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, კლასელები და საუკეთესო მეგობრები არიან და თითოეულის ოჯახური ცხოვრებაც თავისებურად სირთულეებითაა მოცული. თუმცა იმ დროს, როცა უფროსი თაობა ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული, გოგონებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ისინი იმდროინდელი ყოფის ფონზე, როცა საზოგადოებაში გადარჩენის უხეში კანონები მოქმედებს, ცდილობენ, იმაში გაერკვნენ, თუ როგორ, რა პრინციპითა და კანონით ფუნქციონირებს ურთიერთობა ორ საპირისპირო სქესს შორის. მათ, პირველად ცხოვრებაში, ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, შურისძიება. ფილმში მთავარ როლებს ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია ასრულებენ. თუმცა ეს არ არის პირველი წარმატება, რომელიც ნანა ექვთიმიშვილმა მოიპოვა. მისი 8-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედა" იტალიაში გამართულ ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესოდ აღიარეს. ფილმი ფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში მონაწილეობდა. რეჟისორის ნამუშევარში მონაწილეობენ ერეკლე ცინცაძე, დავით გოგუაძე, თამთა გიგინეიშვილი, მაგდა მებურიშვილი, ია ზურაბიანი. სცენარის ავტორი და რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილია, პროდიუსერი — სიმონ გროსი, ოპერატორი — გიორგი შველიძე. ფილმი ნაჩვენები იყო 2011 წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ამ წელს ფესტივალის ჟიური ბერლინალეს ფორუმის ორგანიზატორები ულრიკე და ულრიხ გრეგორები იყვნენ. მათ პროგრამიდან ოთხი ქართული ფილმი განსაკუთრებით გამოყვეს და მოიწონეს. ერთ-ერთი მათგანი ნანა ექვთიმიშვილის „დედა" გახლდათ. ნანა ექვთიმიშვილის ნამუშევარმა ასევე მონაწილეობა მიიღო ვისბადენის კინოფესტივალზე „გოუ ისთ" და ლონდონში „დაშ არტს" სალონში. ფილმით დაინტერესდა ფრანგული ტელეარხი „კანალ პლუსი" და მისი შეძენა გადაწყვიტა.

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ ევროპული კინოს ბაზრობაზე 2013 წელს მერვედ წარდგება. კინობაზრობაზე გაიხსნება საქართველოს სტენდი, სადაც ფესტივალისა და ბაზრობის სტუმრებსა და კინოპროფესიონალებს ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობის, ასევე ახალი ქართული ფილმებისა და განვითარების სტრატეგიის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებათ. საქართველოს სტენდზე გაიმართება შეხვედრები ეროვნული კინოცენტრის პარტნიორებთან და საერთაშორისო კოლეგებთან. სტენდზე წარმოდგენილი იქნება ახალი ქართული ფილმების კატალოგი, ეროვნული კინოცენტრის საინფორმაციო ბროშურები, ახალი ქართული ფილმების ტრეილერების დისკი, მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმების დისკი, საქართველოში გადაღებების წარმოების შესახებ ინფორმაცია. ეროვნული კინოცენტრი თანაწარმოების პლატფორმაზეც წარდგება, რომელიც ორდღიანი ღონისძიებაა და კოპროდუქციის შექმნაში გამოცდილ 450 საერთაშორისო კინოპროფესიონალს აერთიანებს. წელს საქართველო, ეროვნული კინოცენტრის სახით, არის ბერლინის კოპროდუქციის ბაზრობის ერთ-ერთი პარტნიორი ქვეყანა, რომელშიც საქართველოდან წარმოდგენილი რამდენიმე პროდიუსერი მიიღებს მონაწილეობას — ანა ძიაპშიპა, თინათინ ყაჯრიშვილი, ნოშრევან ჩხაიძე, ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი, ზაზა რუსაძე.

11 თებერვალს ფოკუსში მოხვდება საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელსაც ევროპული კოპროდუქციის სქემაში ჩართვის რეალური შესაძლებლობები აქვს. ქვეყნის სესიაზე ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი თამარ ტატიშვილი დამსწრე საზოგადოებას საქართველოში კინოწარმოებისა და ქართველ პროდიუსერებთან თანამშრომლობის მაგალითებსა და წესებს გააცნობს.

— ვამაყობთ და მოხარულნი ვართ, რომ საქართველოს ეროვნული კინოცენტრი ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზრობაზე ჩვენი პარტნიორია. საერთაშორისო პროდიუსერები ჯერ კიდევ არ იცნობენ საქართველოს. მათ უნდა გაიგონ, რომ საქართველო ნამდვილი საგანძურია! ბოლო სამი წლის მანძილზე იმდენი დადებითი რამ მოხდა საერთაშორისო კოპროდუქციის კუთხით, რომ საქართველო მეტად უნდა იყოს წარმოჩენილი პროდიუსერების წინაშე. ამ მიზნით, ვფიქრობ, დიდი მიღწევაა მონაწილეობა ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზრობაში და ფილმების წარდგენა ბერლინალეს ოფიციალურ პროგრამაში, — აღნიშნავს ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზრობის დირექტორი სონია ჰაინენი.

საქართველო 2012 წელს გახდა სარაევოს კინოფესტივალის რეგიონულ სივრცეში შემავალი სრულუფლებიანი წევრი. 9 თებერვალს, ეროვნული კინოცენტრისა და სარაევოს კინოფესტივალის ინიციატივით, გაიმართება მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ორი ქვეყნის კინემატოგრაფისტების გაცნობასა და დაახლოებას სამომავლო თანამშრომლობის მიზნით.

2013 წელს საქართველოს წარმოჩენა ბერლინის კინოფესტივალზე განსაკუთრებით მასშტაბურია. ახალი ქართული ფილმების წარმატების აღსანიშნავად საქართველოს ეროვნული კინოცენტრი 2013 წლის 10 თებერვალს გამართავს წვეულებას, სადაც ქართული დელეგაციის გასაცნობად თავს მოიყრიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი კინოპროფესიონალები და კინოცენტრის პარტნიორი ორგანიზაციები.

ბერლინის რიგით 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალი 17 თებერვალს გამარჯვებულთა გამოვლენითა და მათი დაჯილდოებით საზეიმოდ დაიხურება.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ალბანეთის დედაქალაქი; 3. შავი, ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 5. ოპერა „კარმენის" პერსონაჟი; 6. ბოშათა თეატრი მოსკოვში; 8. მოკლე ხალხური გონებამახვილური გამონათქვამი; 11. კუთხზმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 13. გარკვეული ადგილების ამოღება, შემოკლება მხატვრულ ან მუსიკალურ ნაწარმოებში; 14. უნივერსიტეტი პარიზში; 15. სომეხთა მღვდელი; 19. ქართული სპორტული გაზეთი.

**თარაზულად:** 1. თბილი დინება ატლანტის ოკეანეში; 4. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 7. ბანქოს სათამაშო სპეციალური მაგიდა; 9. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 10. სიბრძნის, ხელოვნების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 12. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 16. პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი; 17. დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 18. პირადი ინტერესებით მცხოვრები, მეწვრილმანე ადამიანი; 20. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი იტალიაში; 21. წითელი ფერის ძვირფასი თვალი; 22. ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გლისადა; 2. რვალი; 3. იუკატანი; 4. ფულემი; 5. მთავარი; 6. ვისკოზა; 11. პირსი; 13. პრომეთე; 14. პარანგონი; 15. კონტრალტო; 17. ეკლერი; 18. მირაჟი; 19. მოლა.

**თარაზულად:** 7. ალიევი; 8. მუჯურეთული; 9. ასკილი; 10. საფერავი; 12. შამპინიონი; 14. პლისკა; 16. აეროზოლი; 18. მარიჯანი; 20. კრონა; 21. არა; 22. პანთეონი; 23. თხლე; 24. ბატალიონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დუნსტი; 2. რუბიკი; 3. მზისა; 5. არვე; 6. ლიმიტი; 8. არიეტა; 11. პანკრეასი; 13. ელექტრა; 14. ფარაონი; 15. ქუთაისი; 19. ნოტი.

**თარაზულად:** 1. დეიტერიუმი; 4. სადახლო; 7. ნაირობი; 9. სოკრატე; 10. ოპუკი; 12. აზერდინი; 16. ბარბეკიუ; 17. თეორემა; 18. პარმეზანი; 20. სატურნი; 21. პატი; 22. მელქიორი.

# იაპონიაში 2011 წლის უდიდესი მიწისძვრის ვიდეონაკრები აჩვენეს

იაპონიაში, სატელევიზიო ეთერში 2011 წლის 11 მარტის მიწისძვრის სამოყვარულო ვიდეოები გავრცელდა. კადრებში ჩანს, როგორ მოუსწრო რიგით იაპონელებს 9 ბალიანმა მიწისძვრამ, როგორ ტიროდნენ და ლოცულობდნენ ბავშვები სტიქიური დარტყმის შემდეგ, როგორ შეირყა სტადიონი, ხოლო ასფალტზე ფართო ნაპრალები გაჩნდა.



ვიდეო მომხდარის შიგნიდან ნახვის საშუალებას გაძლევს, როდესაც ბევრი იაპონელი, ელვისებური რეაქციის და ასეთ სიტუაციაში მოქცევის ცოდნის წყალობით, საკუთარ სიცოცხლეს არჩენს, — აღნიშნავს „ჰერალდ სანი“. მაგალითად, ერთ-ერთ ფრაგმენტში მამაკაცს რის ვაი-ვაგლახით გამოაქვს ფეხები შენობის ნანგრევიდან.

სხვა ჩანაწერებში შეგვიძლია ვნახოთ, როგორ ფეხაკრეფით დადიან სახლში ძლიერი ბიძგების გამო, როგორ ცდილობენ უსაფრთხო ადგილას მიღწევას მასობრივი სხდომების მონაწილენი და როგორ რეაგირებდნენ ისინი ახალ მიწისქვეშა ბიძგებზე (სამი ასეთი მძლავრი დარტყმა დაფიქსირდა). ბევრ კადრში მშობლები ცდილობენ საკუთარ შვილებს გადაეფარონ, ხოლო ამ პროცესს კარადების დაცემა და ფანჯრების მსხვრევა თან სდევს.

კიდევ ერთ ფრაგმენტში აღბეჭდილია სავაჭრო ცენტრი, რომელშიც მიწისძვრიდან მცირე ხანში ელექტროენერგია ქრება. ნახევრად სიბნელეში ადამიანები ყვირიან, თითოეული მცირე დარტყმის დროსაც კი.

2011 წლის 11 მარტის მიწისძვრამ, აღმოსავლეთ იაპონიის უდიდესი მიწისძვრის ოფიციალური სახელწოდება მიიღო. მიწისქვეშა ბიძგებმა გამოიწვია ცუნამი, ტალღების სიმაღლე 30-40 მეტრს აღწევდა. ტრაგედიამ იმსხვერპლა დაახლოებით 16 ათასი ადამიანი, ავარიიდან ერთი წლის შემდეგ 3167 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, 350-ზე მეტმა ადამიანმა საცხოვრებელი დაკარგა.

თითქმის 380 ათასი სახლი განადგურდა ანდა მნიშვნელოვანი დაზიანებები მიიღო. ზოგიერთი დასახლებული პუნქტი მთლიანად აღიგავა პირისაგან მიწისა, მსხვილი ქალაქები დენის გარეშე დარჩნენ, დაინგრა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. სტიქიამ 340 ათასი ადამიანი აიძულა, რომ საკუთარი სახლები დაეტოვებინა.

მიწისძვრამ „ფუკუსიმა 1“-ის ავარია გამოიწვია. ხელისუფლების შეფასებით, რადიოაქტიური გაჟონვის შედეგების ლიკვიდირებას 30-40 წელი დასჭირდება. ავარიის შედეგად, 20 კილომეტრის რადიუსიდან დაახლოებით 16 მილიონი იაპონელი გადაასახლეს. კატასტროფის პირდაპირი მატერიალური ზარალი ხელისუფლებამ 300 მილიარდ დოლარად შეაფასა.

# ირანის პრეზიდენტს კოსმოსში გაფრენა სურს



ირანის პრეზიდენტმა, მაჰმუდ აჰმადინეჯადმა სურვილი გამოთქვა, რომ გახდეს პირველი ადამიანი, რომელიც ირანის კოსმოსური პროგრამის საშუალებით კოსმოსში გაფრინდება. „მე მზად ვარ, გავხდე პირველი ირანელი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელით, კოსმოსში გაფრინდება“, — განაცხადა აჰმადინეჯადმა მედიასთან საუბარში.

როგორც ცნობილია, გასულ კვირას, ირანმა გამოაცხადა, რომ წარმატებულად მოახერხა რაკეტა-თანამგზავრის კოსმოსში გაშვება, რომლის ბორტზეც მაიმუნი იმყოფებოდა. პრიმატი დედამიწაზე უვნებელი დაბრუნდა.

დასავლეთის ქვეყნები უკვე გამოთქვამენ შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ ირანმა, შესაძლოა, კოსმოსური პროგრამა შორი მოქმედების ბალისტიკური რაკეტების შესაქმნელად გამოიყენოს. ირანი ამ ხმებს კატეგორიულად უარყოფს. მაჰმუდ აჰმადინეჯადმა პირველად 2010 წელს განაცხადა, რომ ირანი ორბიტაზე პილოტირებული ხომალდის გაშვებას 2019 წელს გეგმავს.

მაჰმუდ აჰმადინეჯადი (დ. 28 ოქტომბერი, 1956) 2005 წლიდან ირანის პრეზიდენტია.

პრეზიდენტობის პერიოდში შეაჩერა ზოგიერთი ლიბერალური რეფორმა, რომელიც მისი წინამორბედების მმართველობას ახასიათებდა. აჰმადინეჯადის მმართველობა აღსანიშნავია მასშტაბური ენერგეტიკული რეფორმით. ამავე პერიოდში დაჩქარდა ირანის ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა.

აჰმადინეჯადის საგარეო პოლიტიკა კონსერვატიულ სახეს ატარებს. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას და გამოხატავს ირანის რუსეთთან და არაბულ სამყაროსთან ურთიერთობათა გაღრმავების იმედს. ცნობილია ისრაელის მისამართით წარმოთქმული არაერთი მკვეთრი განცხადებით. ხშირად უარყოფდა ჰოლოკოსტის ფაქტს.

# სამგლოვიარო განცხადებები

მურად ანჯაფარიძე მწუხარებას გამოხატავს და თანაგრძნობას უცხადებს ბატონ უტა (ხუტა) ხვიტიასა და მის ოჯახს შვილის

**თემურ ხვიტიას**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: შაბათს, 9 თებერვალს, შაბათს, 15 საათზე.

მისამართი: ქვემო ფონიჭალა, თამაზ ხვიტიას ქუჩა №8.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბენიამინ ნეთანიაჰუ — ბურგასში მომხდარი თავდასხმა ევროპაზე შეტევაა



ბურგასში მომხდარი თავდასხმა ევროპის, ევროკავშირის წევრი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევაა, — ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა.

მისივე თქმით, ტერორისტული შეტევა, რომელსაც 6 ადამიანი ემსხვერპლა, ერთ-ერთია ტაილანდში, კენიაში, თურქეთში, ინდოეთში, აზერბაიჯანში, კვიპროსსა და საქართველოში განხორციელებულ შეტევებს შორის.

ისრაელის პრემიერმა ბულგარეთის მთავრობას მომხდარის სრულყოფილი და პროფესიული გამოძიებისთვის მადლობა გადაუხადა.

„ბულგარეთის მიერ წარმოებული გამოძიების დღეს გამოქვეყნებული შედეგები ნათელია. მომხდარში დამნაშავეა „ჰეზბოლა“. არის მხოლოდ ერთი „ჰეზბოლა“. ეს ერთი ორგანიზაციაა, ერთიანი ხელმძღვანელობით. ეს შემდგომი დადასტურებაა იმისა, რაც ისედაც ვიცით, რომ „ჰეზბოლა“ და მისი ირანელი პარტნიორები მთელ მსოფლიოში ტერორისტულ აქტებს დირიჟორობენ, რაც ქვეყნებსა და კონტინენტებს მოიცავს. ბურგასის ტერორისტული შეტევა ერთ-ერთია ტაილანდში, კენიაში, თურქეთში, ინდოეთში, აზერბაიჯანში, კვიპროსსა და საქართველოში განხორციელებულ შეტევებს შორის. ყოველივე ეს ხდება „ჰეზბოლასა“ და ირანის მიერ სირიაში ასადის დანაშაულებრივი რეჟიმის მხარდაჭერის ფონზე. თავდასხმა ბურგასში ევროპის, ევროკავშირის წევრი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევაა. ვიმედოვნებთ, რომ ევროპამ სწორი დასკვნები გამოიტანა ჰეზბოლას ჭეშმარიტი არსის შესახებ“, — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ისრაელის პრემიერი მსოფლიო ლიდერებისგან ითხოვს, რომ მათ „ჰეზბოლა“ ტერორისტულ დაჯგუფებად გამოაცხადონ.

ბენიამინ ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ „ჰეზბოლამ“ მსოფლიო ტერორისტული ქსელი შექმნა და უახლოეს მომავალში 20 სხვადასხვა ქვეყანაში ტერაქტებს გეგმავს.

ნეთანიაჰუს განცხადება ბულგარეთის მხარის ბრალდებას მოჰყვა, რომელმაც 2012 წელს ბურგასში მომხდარ ტერორისტულ აქტში ლიბანის რადიკალური დაჯგუფება დაადანაშაულა.

ბურგასში მომხდარი ინციდენტის შედეგად ისრაელიდან ჩასული ტურისტების ავტობუსი აფეთქდა, რომელსაც ექვსი ადამიანი შეეწირა.

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების უმაღლესმა კომისარმა კეტრინ ეშტონმა განაცხადა, რომ ევროკავშირი ბულგარეთის ხელისუფლების გამოძიების შედეგებს განიხილავს.

აშშ-ის პრეზიდენტის მთავარმა მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბრენანმა, რომელიც მალე ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის შეფად დაინიშნება, აღნიშნა, რომ ორგანიზაცია „ჰესპოლა“ ემუქრება არა მხოლოდ ევროპას, არამედ მთელ მსოფლიოს“.

ჰეზბოლა (უფლის პარტია ან უფლის დაჯგუფება) ლიბანელ შიიტთა დაჯგუფებაა, აერთიანებს პოლიტიკურ და შეიარაღებულ ფრთას. ჩამოყალიბდა 1980-იანი წლების პირველ ნახევარში, შიიტებით დასახლებული ბიქაას მუჰაფაზაში, ისრაელის ლიბანში შეჭრის საპასუხოდ. მიჩნეულია ტერორისტულ ორგანიზაციად ისრაელისა და მისი მოკავშირის, აშშ-ს, ასევე კანადის მიერ. მხოლოდ შეიარაღებული ფრთა ტერორისტულ დაჯგუფებად მიჩნეულია გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიასა და ეგვიპტეში.

# ქუვეითის მოქალაქეს „ტვიტერზე“ „კრიმინალური აქტიურობისთვის“ ათი წელი მიუსაჯეს

ქუვეითის სასამართლომ ქვეყნის ქვეშევრდომს, ორანსა ალ-რაშიდის ათწლიანი ციხე მიუსაჯა, ემირ საბაჰ-ას-საბაჰის შეურაცხყოფისთვის და რეჟიმის დამხობის მოწოდებისთვის, ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა „ალ-ჯარიდა“ ავრცელებს.



ალ-რაშიდის ასევე ქვეყნის შესახებ არასწორი მონაცემების გავრცელებას და ნავთობით მდიდარი ქუვეითის იმიჯის შელახვაში ადანაშაულებენ. გამოძიებამ დაადგინა, რომ მსჯავრდებული ტვიტერის მიკრობლოგში და იუთუბის ვიდეოჰოსტინგზე ავრცელებდა ინფორმაციას, რომელიც ქვეყანას და ემირს შეურაცხყოფდა. ქვეყნის კონსტიტუცია კი ემირის „იმუნიტეტს და ხელშეუხებლობას“ ითვალისწინებს. სასამართლო ვერდიქტი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ორი წლის წინათ, ქუვეითის მეორე მაცხოვრებელს, მუჰამედ ალ-აჯის, ტვიტერზე ემირის შეურაცხყოფისთვის, ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას წაუყენეს მაქსიმალური მუხლი, რასაც ეს დარღვევა ითვალისწინებს. ასეთმა გადაწყვეტილებამ უფლებადამცველი ორგანიზაციების აღშფოთება გამოიწვია, რომლებიც ქუვეითში მუშაობენ.

„ჩვენ მთავრობას მოვუწოდებთ თავისუფლებების გაფართოებისკენ და ადამიანის უფლებების კონვენციის შესრულებისკენ, რასაც მთავრობამ ხელი მოაწერა“, — განაცხადა ქუვეითის უფლებადამცველი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მუჰამედ ალ-ჰუმაიდიმ.

ქუვეითში ემირის კრიტიკა დაუშვებელია და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხედ განიხილება. აშშ-ს მოკავშირე და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნავთობის მწარმოებელი ქუვეითი, მკაცრად აკონტროლებს პოლიტიკურ ინფორმაციას სოციალურ ქსელებში, მათ შორის ტვიტერზე. ამასობაში, ტვიტერი ძალიან პოპულარული რესურსია ქვეყანაში, სადაც 3,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

ქუვეითში გასულ წელს მიიღეს კანონი, რომელიც სოციალური ქსელების გამოყენებას არეგულირებს. ტვიტერზე ემირის შეურაცხყოფისთვის პირველად ციხე მიუსაჯეს ქვეყნის ორ, ოცი წლის მოქალაქეს, აიად ალ-ჰარბის და რეშიდ ალ-ენეზის. ამის შემდეგ, სოციალური ქსელების ათეულობით მომხმარებელი დააპატიმრეს, აქტივისტები და ოპოზიციონერები.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების განცხადებით, ქუვეითმა სიტყვის და შეკრების თავისუფლება შეზღუდა. ქვეყნის ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ სოციალური ქსელის მომხმარებელს დაიცავდა. დანაპირები არ სრულდება.

როგორც ალ-რაშიდის, 2012 წლის ივნისში ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ქვეყნის კიდევ ერთ ქვეშევრდომს, რომელმაც საუდის არაბეთის და ბაჰრენის სუნიტ მმართველებს შეურაცხყოფა მიაყენა.

ქუვეითმა 1961 წელს მიიღო დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთისაგან. 1991 წელს ქვეყანა ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის „უდაბნოს ქარიშხლის“ პლაცდარმი გახდა, რაც გამოწვეული იყო ერაყის მიერ მისი ტერიტორიის ოკუპაციით. ამ ომმა ქვეყანას დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა. უკანასკნელ წლებში ქუვეითში იყო მცდელობა პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციისა. კერძოდ, 1999 წელს ქვეყნის მმართველმა გამოსცა განკარგულება, ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა ეროვნული კრების მიერ.

ნავთობის საბადოების ათვისება 1930-იან წლებში დაიწყო და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განვითარდა. მას შემდეგ ნავთობი ეკონომიკის საფუძველია, რომელიც საექსპორტო შემოსავლების 90%-ს იძლევა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 7 თებერვალი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ




22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „უდანაშაულობის პრეზუმფცია„ (ჰ.ფორდი) 02.20 დ/სერ „ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.20 დოკ/ფ ჰოლივუდის წყვილები 4 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა– 4„ 14.40 სერ. „24 – 4„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „მეტსახელად „მწმენდავი„ (მ.დაკასკოსი) 23.45 სერ. „ღვინის გზა„ 00.45 მხ/ფ „დედოფალი მარგო„ (ი.აჯანი) 03.10 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ჩემი მსახურის და„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „გამჭოლი მოქმედება„ 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „სხვისი შვილები„ 13.20 კონცერტი-პავაროტის გახსენება 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „ფატიმა„ 18.10 ტელეზღაპარი 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ლომა,დავიწყებული მეგობარი„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20, 23.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ბესამე„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 თებერვალი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6571 |
| ევრო | 2,2638 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6219 |
| რუსული რუბლი | 0,0524 |

## ამინდის პროგნოზი 7 თებერვლისთვის





# 11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან" ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები







## მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან" ერთად

# ილია II

## ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


## ფაჩულიასა და შენგელიას ტრავმა გაუგრძელდათ

ქართველი კალათბურთელები ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია თავიანთი გუნდების განაცხადში ისევ არ ჩანან. ფაჩულიას აქილევსის მყესი აწუხებს, შენგელიას კი ტვინის შერყევის ნიშნები ჰქონდა და, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად უფრთხილდება ახალგაზრდა კალათბურთელს. ნბა-ს განვითარების ლიგიდან დაბრუნების შემდეგ შენგელია, 3 მატჩია, განაცხადში არ ყოფილა. ზუსტად ამდენი მატჩი გამოტოვა ზაზა ფაჩულიამაც.

მანამდე კი ორივე ქართველის გუნდმა – „ატლანტამ" და



„ბრუკლინმა" – მორიგი მატჩები წააგეს. „ატლანტა" სტუმრად დამარცხდა „ინდიანასთან", რომელიც იმდენადაა მოლონიერებული, რომ აღმოსავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილზე აღზევდა. „ქორებმა" ვერაფერი გააწყვეს ახალამობრწყინებული ვარსკვლავის, პოლ ჯორჯის გუნდთან და საბოლოოდ 103:114 დამარცხდნენ.

„ბრუკლინმა" კი შინ დათმო შეხვედრა „ლეიკერსთან". მართალია, მასპინძლებმა პირველი მეოთხედი მოიგეს, თუმცა მეორეში განადგურდნენ, გვარიანად ჩამორჩნენ და „ლეიკერსს" მატჩის ბოლომდე ველარ დაეწივნენ. საბოლოოდ „ნეთსი" 83:92 დამარცხდა და აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილში მე-5 ადგილზე ჩამოქვეითდა, მეექვსეზე კი 26 მოგებითა და 21 წაგებით „ატლანტაა" განთავსებული.

ბრუკლინელები დღეს დეტროიტში ითამაშებენ, „ატლანტა" კი „მემფისს" უმასპინძლებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ყველამ გაითვალისწინეთ!

### ასტროპროგნოზი 7 თებერვლისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის იყავით. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მორიელი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ყველას ნუ ენდობით. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, კარგ ხასიათზე ხართ. **თევზები** — მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სასტუმრო თბილისში; 2. გემების ღუზით გასაჩერებელი მოხერხებული ადგილი ნავსადგურის მახლობლად; 3. დიდგვაროვანთა საპატიო ტიტული ეგვიპტესა და ოსმალეთში; 5. აზერბაიჯანული გაზის კომპანია; 6. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. უძრავი ქონების შემოსავლებით მცხოვრები ადამიანი; 13. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 14. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 15. კონდრატე თათარაშვილის რომანი; 16. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 17. გზატკეცილის, მდინარის ქვეშ გაყვანილი წყლის გამტარი მილი; 19. ცხარე საწებელი; 20. ნავსადგური საქართველოში.

**თარაზულად:** 1. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 4. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 8. სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვების ადგილი; 9. აფრიკული ანტილოპა; 10. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 12. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 14. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 15. მთავრობის წევრი; 16. ფრანგი მოდელიორი; 18. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" ფეხბურთელი; 21. უბანი თბილისში; 22. ქალაქი ქვემო ქართლში; 23. დასასვენებელი ადგილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## ქართული კინო ბერლინალეს კინოფესტივალზეა

7 თებერვალს ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალი იხსნება. წელს ბერლინალე საქართველოს არაერთი სექციით მასპინძლობს. ზაზა რუსაძის მხატვრული დებიუტი „ჩემი საბნის ნაკეცი" ოფიციალურ პროგრამა „პანორამაში" მონაწილეობს და 7 თებერვალს ეს სექცია სწორედ ქართული




ნამუშევრით გაიხსნება. ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები" კი „ფორუმის" ფარგლებში იქნება ნაჩვენები. ქართველი რეჟისორების ორივე სადებიუტო ნამუშევარი ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით არის შექმნილი. ფილმების შერჩევა მოხდა ბერლინალეს დელეგაციის წინასაფესტივალო ვიზიტის დროს თბილისში, რომელიც გასული წლის ოქტომბერში შედგა.

– მას შემდეგ, რაც შარშან თბილისს ვეწვიე ფორუმის დირექტორ კრისტოფ ტერჰეხტესთან ერთად, წილად მხვდა ბედნიერება, აღმომეჩინა ორი ქართული ფილმი ბერლინალეს შესარჩევ კონკურსში. საბედნიეროდ, ეს არ იყო ჩემი პირველი და, იმედია, არც უკანასკნელი ვიზიტი საქართველოში. ალბათ, კიდევ არაერთ საინტერესო რეჟისორს აღმოვაჩენთ თავისი საინტერესო ნამუშევრებით. ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი" გახსნის პრესტიჟულ პროგრამა „პანორამას", ხოლო „გრძელი ნათელი დღეები" მონაწილეობს ფორუმში – სექციაში, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ნიჭიერი და დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი კინემატოგრაფისტი აღმოაჩინა. ყოველივე ეს მიუთითებს თანამედროვე ქართული ფილმების მაღალ ხარისხზე. ეს ორი სადებიუტო მხატვრული ფილმი ადასტურებს, რომ საქართველოს აქვს უნარი, წარუდგინოს მსოფლიოს კარგად დაწერილი სცენარები და ორიგინალური ხელწერის რეჟისორები. აღარაფერს ვამბობ ფანტასტიკურ სამსახიობო ჯგუფებსა და თვალწარმტაც პეიზაჟებზე. ცხადია, ეს ფილმები ვერ შეიქმნებოდა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერის გარეშე, ვგულისხმობ არა მარტო ფინანსურ, არამედ ყოველგვარ მხარდაჭე-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## „ეკლესია ათეისტებისთვის" — ლონდონში



ლონდონში, ერთ-ერთ ძველ ქრისტიანულ ტაძარში, სადაც უკვე დიდი ხანია არ შემდგარა ღვთისმსახურება, ამოქმედდა „ეკლესია ათეისტებისთვის", რომელიც დააფუძნეს მსახიობებმა სანდერსონ ჯონსმა და პიპო ევანსმა. ისინი არ ქადაგებენ, რომ ათეისტური საზოგადოების ყველა წევრი მოკვდება და სიკვდილის შემდეგ მათ არ ელოდებათ სიცოცხლე. კვირაობით, მსახურებაზე იკრიბება 300-მდე ადამიანი და საგალობლების ნაცვლად, სტივ უანდერის და „ქუინის" სიმღერებს ასრულებენ. „ბი-ბი-სის" რეპორტაჟში ათეისტების ინიციატივის შესახებ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ იდეის ავტორები ათეიზმის რელიგიად გადაქცევას ცდილობენ.

ათეიზმი (ბერძნ. ღმერთის გარეშე) მსოფლმხედველობაა, რომელიც უარყოფს ღმერთის, ღვთაებების და სხვა ზებუნებრივი ძალების არსებობას. ათეისტებს ზოგადად არელიგიურებად მიიჩნევენ, თუმცა ზოგიერთი რელიგია, როგორიცაა ბუდიზმი, ათეისტურად ხასიათდება.

ათეისტის ქართული შესატყვისია ურწმუნო (და არა ულვთო, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო ადამიანის ხასიათს გამოხატავს, ვიდრე მის შეხედულებებს).

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**